პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
18 ნოემბერი
1939 წ.
№ 265 (5665)
ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი (მოწინავე)

საქართველოს მშრომელნი უდიდესი ერთსულოვნებით აყენებენ თავიანთ კანდიდატებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში (1-ლი გვ.).

გმირული პირველი ცხენოსანი არმია: სახელოვანი 20 წლისთავი; ისტორიული დოკუმენტები პირველი ცხენოსანი არმიის შესახებ (მე-2 გვ.)

ლანჩხუთის რაიონი წინასაარჩევნო დღეებში (მე-3 გვ.)

„პ. ბრეკოვი“ გრიბოედოვის თეატრში (მე-4 გვ.)

უცხოეთში

საიმონის გამოსვლა თემთა პალატაში (მე-4 გვ.)

გერმანიის საინფორმაციო ბიურო საომარი მოქმედების შესახებ (მე-4 გვ.)

ინდოელი სოციალისტების პასუხი გრინვუდის სიტყვაზე (მე-4 გვ.).

სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი

Ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წელს უხვ მოსავალს იღებენ. ამ უხვ მოსავალში, როგორც სარკეში, ნათლად მოსჩანს საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა. ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოპოვებულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

საქართველოს რაიონებიდან მოდის სასიხარულო ცნობები მარცვლეულის, ჩაის, ციტრუსების და სხვა კულტურების უხვი მოსავლიანობის შესახებ. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის უდიდესი ზრდის შესახებ.

მაგალითად, ალბულაღის რაიონის სოფ. კონსტანტინოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ წელს საშუალოდ ჰექტარზე 21,2 ცენტნერი მარცვლეული მიიღო. ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 4.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა, ამავე რაიონის სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ კი — 4.400.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნეობათა მარტო ფულადი შემოსავალი, ნაცვლად შარშანდელი 314. 974. 000 მანეთისა, 366.279.000 მანეთს მიაღწევს, საერთო შემოსავალი კი —400.949.000 მანეთს. მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს შრომადღეზე ფულად გასცემენ 13 მანეთზე მეტს. ორთაჭალის (თბილისის რაიონი) ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი, ნაცვლად შარშანდელი 4.898.000 მანეთისა, 5.351.000 მანეთს მიაღწევს. აქ კოლმეურნენი შრომადღეზე მარტო ფულად 14 მანეთამდე მიიღებენ. ასეთი ფაქტები მრავალია.

მთავრდება სასოფლო-სამეურნეო წელი. კოლმეურნეობები აჯამებენ თავიანთ ნამუშევარს, წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ემზადებიან შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის. ეს საქმე მიწსახკომისა და მისი ორგანოებისაგან, ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან, თვითეული კოლმეურნეობისაგან გულმოდგინე მომზადებას მოითხოვს. საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება უაღრესად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები საქმეა.

მტკიცედ უნდა შესრულდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, საკოლმეურნეო ცხოვრების ეს უმაღლესი კანონი, რომელიც გვეუბნება: „არტელის შემოსავლის განაწილება წევრებს შორის სწარმოებს მხოლოდ-დამხოლოდ არტელის თვითეული წევრის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით“.

ამ პრინციპის ურყევად გატარება მოითხოვს უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებში ზუსტი ანგარიშწარმოება, აღრიცხვა, კოლმეურნეთა წიგნაკებში შრომადღეების სწორად ჩაწერა.

მაგრამ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, უმთავრესად კი სამიწათმოქმედო ორგანოების წაყრუების შედეგად, საქართველოს ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევას. ქუთაისის რაიონის სოფ. შუაქვიტირის კოლმეურნეობა „შრომაში“ 120 კოლმეურნისათვის დღემდე არ მიუციათ 1938 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი 8.254 კილოგრამი სიმინდი, წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომაში“ — 1.835 კილოგრამი მარცვლეული და 1.800 მანეთი ფულად. ამავე დროს, კოლმეურნეობა „შრომაში“ 284 კოლმეურნეს ზედმეტად მისცეს 43.530 მანეთი, ხოლო ქარელის რაიონის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში — 16.000 მანეთი.

შემოსავლის განაწილების დაუშვებელი პრაქტიკა წელსაც გრძელდება. ბორჩალოს რაიონის ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობაში 34 კოლმეურნეს მიეცა 1.859 კილოგრამი მარცვალი — თითოს 32-დან 64-მდე კილოგრამი — მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების გაუთვალისწინებლად. ამავე კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავლიდან 12 კოლმეურნეს მიეცა 1.100 მანეთი წესდების დარღვევით. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს ქარელის რაიონის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში და ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში“. გარდა ამისა, რაიონებში ყველგან არ ხდება კოლმეურნეთა წიგნაკებში შრომადღეების დროულად და წესიერად ჩაწერა, ადგილი აქვს ხარჯთაღრიცხვის დარღვევასაც.

პარტრაიკომები, რაიაღმასკომები, მიწგანები, მტს-ები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ უზრუნველჰყონ კოლმეურნეობებში ურყევად გატარება სას.-სამ. არტელის წესდებისა, რომელიც გვავალებს: პირველ რიგში არტელის მიერ მიღებული მოსავლიდან და მეცხოველეობის პროდუქტებიდან შესრულებულ იქნას ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე ჩაბარების და სათესლე სესხის დაბრუნების მხრივ, ანგარიში გაუსწორდეს მტს-ს მის მიერ შესრულებულ სამუშაოსათვის, გამოყოფილ იქნას თესლი და ფურაჟი მთელი წლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, შეიქმნას დასაზღვევი სათესლე და საკვები ფონდები, აგრეთვე ფონდები ინვალიდების, მოხუცების და სხვ. დასახმარებლად. გამოიყოს არტელის საერთო კრების მიერ განსაზღვრული ოდენობის პროდუქტები სახელმწიფოსათვის მისაყიდად ან ბაზარზე გასასყიდად, დანარჩენი კი განაწილდეს წევრთა შორის გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოები.

კოლმეურნეობებში წესდების ზუსტად დაცვით უნდა განაწილდეს ფულადი შემოსავალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფულადი შემოსავალი კი გავანაწილოთ არტელის წევრთა შორის შრომადღეების მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ გათანაბრების მავნე პრაქტიკა.

პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა, მიწგანებმა, მტს-ებმა უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების მიმდინარეობა და უზრუნველჰყონ მოსავლის წინასწარი განაწილების დაჩქარებით დამთავრება.

საკოლმეურნეო მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების საქმეში სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე სარევიზიო კომისიებს. მათ უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობის ანგარიშწარმოება თავის წევრებთან, შრომადღეების დარიცხვის სიზუსტე და თვალყური ადევნონ იმას, რომ არტელის ფულადი სახსრები საკმაოდ ფრთხილად ინახებოდეს და დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს.

ახლა, როცა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში დიდი საწარმოო აღმავლობაა, ეს აღმავლობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, კოლმეურნეობებში შემოსავლის დროულად და სწორად განაწილებისათვის.

საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის 15 ნოემბრის ცნობებით

რაიონები	თესვის გეგმა ჰექტარობით	დათესილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება %%-ით
ახალქალაქი	8.335	8.378	100,5
ახალციხე	4.400	4.889	111,1
ადიგენი	1.415	2.472	174,7
ასპინძა	2.050	2.554	124,6
ხაშური	6.515	6.849	105,1
ქარელი	10.952	9.889	90,3
კასპი	8.530	7.441	87,2
გორი	15.130	15.181	100,3
ბორჯომი	350	414	118,3
გურჯაანი	16.820	11.291	67,1
სიღნაღი	18.603	18.877	101,5
წითელწყარო	18.397	14.179	77,1
თელავი	15.320	12,471	81,4
ყვარელი	9.717	9.293	95,6
ლაგოდეხი	10.095	10.550	105,2
თბილისი	12.850	12.653	98,5
მცხეთა	5.880	5.300	90,1
ყარაია	4.965	4.110	82,8
ბორჩალო	13.740	13.612.	99,1
ლუქსემბურგი	7.120	7.568	106,3
დუშეთი	5.300	5.369	101,3
ალბულაღი	14.000	14.319	102,3
საგარეჯო	13.010	11.443	88
ბაშკიჩეთი	5.250	5.257	100,1
თიანეთი	4.555	3,084	67,7
ქუთაისი	230	124	53,9
წყალტუბო	90	90	100
სამტრედია	1.015	775	76,4
წულუკიძე	90	—	—
ვანი	53	—	—
ბაღდათი	15	—	—
ზესტაფონი	10	—	—
ჩხარი	20	13	65
ჭიათურა	948	700	73,8
საჩხერე	1.972	2.005	101,7
ორჯონიკიძე	20	207	—
ონი	2.050	1.457	71,1
აბროლაური	2.700	2.132	79
ცაგერი	2.700	2.120	78,5
აბაშა	18	12	66,7
ცხაკაია	12	5	41,7
ზუგდიდი	13	8	61,5
ხობი	10	8	80
წალენჯიხა	10	—	—
ჩხოროწყუ	15	13	86,7
მახარაძე	5	1	20
ლანჩხუთი	10	5	50
ჩოხატაური	5	5	10
აფხაზეთის ასსრ	1.545	90	5,8
აჭარის ასსრ	100	31	31
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	16.600	8.168	70,4
სულ	262.985	235.948	89,7

○

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ცხაკაიის, ხობის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, აფხაზეთისა და აჭარის შესახებ ცხრილში შეტანილია 10 ნოემბრის მაჩვენებლები.

თბილისის კომინტერნის სახელობის ძაფსართავი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე კ. კუპუხიძე კიროვის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს კიროვის რაიკომის მდივანს ამხ. ქ. ხოშტარიას. პრეზიდიუმში სხედან ფაბრიკის დირექტორი ვ. კუბლაშვილი (მარცხნივ) და მთავარი ინჟინერი ე. ბუაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საქართველოს მშრომელნი უდიდესი ერთსულოვნებით აყენებენ თავიანთ კანდიდატებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში

ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონი

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ - ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ა. თ. კვაჭაძე, პ. ბ. ქართველიშვილი, ა. ს. ბურჭულაძე, გ. ს. საყვარელიძე, ლ. გ. გეგია და ს. გ. ქარსილაძე.

უდიდესი აღფრთოვანებითა და პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება.

სიტყვა ეძლევა ფაბრიკის სტახანოველს ამხ. ს. ბეგიაშვილს.

— ადგილობრივ საბჭოებში უნდა ავირჩიოთ, — ამბობს ს. ბეგიაშვილი, — ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები, ლენინ-სტალინის პარტიისათვის ერთგულად მებრძოლი პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები. თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ალექსანდრე თომას-ძე კვაჭაძეს და ჩვენი ფაბრიკის დირექტორს პეტრე ბესარიონის-ძე ქართველიშვილს.

კრების მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ ს. ბეგიაშვილის წინადადებას, ა. თ. კვაჭაძე და პ. ბ. ქართველიშვილი ერთხმად წამოყენებულ იქნენ თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

ტრიბუნაზეა ფაბრიკის ალკკ კომიტეტის მდივანი თ. ზურიკაშვილი.

— თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ, — განაცხადა მან, — ჩვენი ფაბრიკის ელექტრონინჟინერს, მოწინავე აგიტატორს აკაკი სამსონის-ძე ბურჭულაძეს.

კრებამ თ. ზურიკაშვილის წინადადებაც ერთსულოვნად მიიღო.

კრების მიერ თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოყენებული არიან მოლოტოვის რაიონის ორგბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, სტახანოველი მუშა-ქალი ბაბო სამსონის-ასული საყვარელიძე, ფაბკომის თავმჯდომარე სონია ბაგრატის-ასული ქარსილაძე და სტახანოველი, ამჟამად საამქროს ინსტრუქტორად დაწინაურებული ლუბა გიორგის-ასული გეგია.

○

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეებმა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ამხ. ნიკო დავითის-ძე კიკნაძე და თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ამბროსი დარისპანის-ძე ლორია.

13 ნოემბერს მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება.

კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. მ. ჩხიკვაძეს.

— ამხანაგებო, — ამბობს ამხ. ჩხიკვაძე, — შემომაქვს წინადადება თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 148 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას ძველი ბოლშევიკი, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ამხ. ნიკო დავითის-ძე კიკნაძე.

კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ წინადადებას. ამხ. კიკნაძე ერთხმად იქნა წამოყენებული თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ვ. გვახარია ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 3 საარჩევნო ოლქიდან ასახელებს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პერიოდსექტორის გამგეს, აქტიურ კომკავშირელს ამბროსი დარისპანის-ძე ლორიას.

კრების მონაწილეებმა წამოყენებულ კანდიდატებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონი

თბილისის მე-5 სავაგონო დეპოს მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ - ტექნიკოსებმა თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ამხ. ა. ლ. გაბუნია, ხოლო ლენინის რაიონის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად—ამხ. ს. ი. ქსოვრელი, გ. ს. ხომასურიძე და ს. ნ. მამულაშვილი

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა თბილისის მე-5 სავაგონო დეპოს მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება.

კრების თავმჯდომარემ ამხ. გ. ჰოლოკავამ პირველად სიტყვა მისცა ამხ. გ. ღვაბერიძეს — თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ, — სთქვა ამხ. გ. ღვაბერიძემ, — ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულ ადამიანს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანს ამხ. ალექსანდრე ლავრენტის-ძე გაბუნიას. ამხ. გ. ღვაბერიძის წინადადებას დამსწრენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. ოსიპოვი, რომელმაც თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მე-5 სავაგონო დეპოს სტახანოველი ზეინკალი ამხ. სერგო იაგორის-ძე ქსოვრელი.

კრების დამსწრეებმა ამხ. ოსიპოვის წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი. თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ აგრეთვე მე-5 სავაგონო დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. სერგო ნიკოლოზის-ძე მამულაშვილი და ამავე დეპოს ბუხჰალტერი, ენერგიული მუშაკი ამხ. გენესა სოლომონის-ასული ხომასურიძე.

კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თბილისის საბჭოს და ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აღნიშნული ამხანაგების წამოყენებას.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მუშა-მოსამსახურეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ამხ. რ. ბ. მოწერელია, ხოლო ორჯონიკიძის რაიონის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ე. დ. ბათიაშვილი, გ. ო. სულაქველიძე და მ. ა. ვასაძე

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელსაც 900 კაცი დაესწრო, დასახელებულ იქნენ თბილისის საქალაქო საბჭოს და რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

თავმჯდომარემ ამხ. კ. ჩაფიჩაძემ სიტყვა მისცა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანს ამხ. ნ. ლომიძეს. ამხ. ლომიძემ მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. რაისა ბაგრატის-ასული მოწერელია. წინასაარჩევნო კრებამ ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თავის კოლექტივიდან ერთხმად წამოაყენა ამავე ინსტიტუტის რუსული ენის მასწავლებელი ელენე დიმიტრის-ასული ბათიაშვილი, ფიზიოლოგიის კაბინეტის ლაბორატორიის თანამშრომელი გოგოლა ონისიმეს-ასული სულაქველიძე და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი მაკრა ანდრიას-ასული ვასაძე.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონი

საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკას“ მუშებმა, მუშა-ქალებმა და მოსამსახურეებმა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს კიროვის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. არქიპო ბითაძე და ამავე ფაბრიკის სტახანოველი მუშა ლიდა ჯავახიშვილი.

შესდგა თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკას“ მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელსაც 200-მდე კაცი დაესწრო.

კრების თავმჯდომარე ამხ. მურადოვი სიტყვას აძლევს სამღებრო საამქროს სტახანოველ მუშას ამხ. ჯანჯღავას.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს ამხ. ჯანჯღავა, — ჩვენი ფაბრიკის სახელით თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ყოფილი რკინიგზელი მუშა, კიროვის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. არქიპო ბითაძე. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა სიტყვით გამოსულმა ამხ. ხიზანიშვილმა.

საგრეხი საამქროს უფროსი ამხ. ჯახუა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ამავე საამქროს სტახანოველ მუშას ამხ. ლიდა ჯავახიშვილს.

— გარდა იმისა, რომ ამხ. ჯავახიშვილი საწარმოო გეგმას 200-230 პროცენტით ასრულებს, — ამბობს საწნავი საამქროს უფროსი ამხ. ლუარსაბოვი, — იგი აგრეთვე ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში და ყველა დავალებას კეთილსინდისიერად ასრულებს, ამიტომ ვუერთდები ამხ. ჯახუას წინადადებას, რომ ამხ. ლიდა ჯავახიშვილი წამოყენებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხ. არქიპო ბითაძისა და ლიდა ჯავახიშვილის დასახელებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ კომიტეტში

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა განიხილა 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის კანდიდატთა გაფორმების წესისა და ვადების საკითხი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 17 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, მომავალი წლის გამოფენის კანდიდატები— საბჭოთა მეურნეობანი, კოლმეურნეობანი, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმები, მტს-ები და სხვა მეურნეობანი — შერჩეული იქნებიან მათი სამი წლის — 1937, 1938 და 1939 წლების მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო სოფლის მეურნეობის ორგანიზატორნი და მოწინავენი — მათი ორი წლის 1938 და 1939 წლების მუშაობის შედეგების მიხედვით.

მეურნეობათა ხელმძღვანელებს—კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს მტს-ების დირექტორებს და სხვებს — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ მათ ორ წელს მაინც უმუშავნიათ ამ მეურნეობებში და თუ მეურნეობანი, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, გამოფენის მონაწილენი არიან.

1940 წლის გამოფენის კანდიდატთა შერჩევა და წარდგენა ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში 1940 წლის 1 მარტამდე უნდა დამთავრდეს.

საუკეთესო მეურნეობათა და მოწინავეთა მიღწევები ფართოდ იქნება ნაჩვენები გამოფენის პავილიონებში. ფართოდ ჩვენებისათვის დასახულ უდავო კანდიდატთა წინასწარი შერჩევა ადგილობრივ უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა. საბოლოო შერჩევა ხდება მას შემდეგ, როცა მეურნეობათა ან მოწინავეთა მუშაობის შედეგები გამოირკვევა. მასალები გამოფენის იმ კანდიდატთა შესახებ, რომლებიც ფართო ჩვენებისათვის იქნებიან რეკომენდებულნი, გამოფენის მთავარ კომიტეტში წარდგენილ უნდა იქნას 1940 წლის 15 იანვრისათვის. (საკდესი).

ძვირფასი სტუმრების გაცილება

მინსკი, 16 ნოემბერი (საკდესი). დღეს მინსკიდან სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ სამშობლოში ყოფილი დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის წევრები და მშრომელთა დელეგაცია, რომელიც ჩამოსული იყო მინსკში ოქტომბრის დღესასწაულზე. ძვირფასი სტუმრების გასაცილებლად თავი მოიყარეს დედაქალაქის ათასობით მშრომელებმა და მინსკის გარნიზონის მებრძოლებმა. ვაგზლის მოედანზე გაიმართა მიტინგი.

სახალხო კრების დეპუტატთა სახელით პირველმა წარმოსთქვა სიტყვა ამხ. პრიტიცკიმ.

— ჩვენ, — ამბობს ამხ. პრიტიცკი, — წილად გვხვდა ბედნიერება ვყოფილიყავით ჩვენი ქვეყნის შუაგულში — მოსკოვში, გვენახა დიდი სტალინი და ყოფილი დასავლეთ ბელორუსიის ხალხებისაგან გადაგვეცა მისთვის მადლობა პანების უღლისაგან განთავისუფლებისათვის. ეს დღეები სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები. ყოფილი დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებული ხალხნი დიდი საბჭოთა ხალხის დახმარებით და ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ყველა მშრომელთან ერთად ააშენებენ კომუნიზმს.

მიმავალ სტუმრებს მიესალმნენ მინსკის მშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგი დამთავრებულია. სტუმრები ვაგონებისაკენ მიიმართებიან. გაისმის გამცილებელთა მისასალმებელი შეძახილები.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 17 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგი ცნობა:

„დასავლეთ ფრონტზე, გარდა სუსტი ადგილობრივი საარტილერიო სროლისა, არავითარი ყურადღების ღირსი სამხედრო მოქმედება არ ყოფილა“.

კომუნისტების დაპატიმრება საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, პოლიციამ მოახდინა მთელი რიგი თავდასხმები საფრანგეთის კომპარტიის სადგომებზე. კონფისკებულია გაზეთ „ლუმანიტეს“ არალეგალური ნომერი. დაპატიმრებულია 9 კაცი, მათ შორის ორი კომუნისტი—მუნიციპალიტეტის წევრები ლეგალი და ფრო.

კომუნისტური პარტიის დაშლა ტუნისში

რომი, 17 ნოემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს ტუნისიდან მიღებულ ცნობას, რომლის თანახმადაც იქ გამოცემულია დეკრეტი ტუნისის კომუნისტური პარტიისა და ამ პარტიის მომხრე ორგანიზაციების დაშლის და აკრძალვის შესახებ.

ჰოლანდიის კაბინეტის საგანგებო სხდომა

ბერლინი, 17 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ამსტერდამიდან იუწყება, რომ 16 ნოემბერს, დილით შესდგა კაბინეტის საგანგებო სხდომა. გაზეთი „ტელეგრაფი“ ამის გამო სწერს, რომ თათბირის ობიექტი იყო საერთაშორისო მდგომარეობა და გერმანიის პასუხი ბელგიისა და ჰოლანდიის სამშვიდობო წინადადებაზე. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ჰოლანდიის ბერლინელი ელჩი 16 ნოემბერს, დილით, ჰააგაში გაემგზავრა ანგარიშის ჩასაბარებლად.

22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში რუსულ ენაზე შესდგება პროფესორ ვ. ტალახაძის ფასიანი ლექცია თემაზე:

„ბურჟუაზიული და სოციალისტური დემოკრატია“.

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი № 21.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება

გმირული პირველი ცხენოსანი არმიის

სახელოვანი 20 წლისთავი

ს. მ. ბუდიონი

საბჭოთა კავშირის მარშალი

ოცი წლის წინათ, იმ წლებში, როდესაც გაფთრებული ბრძოლა სწარმოებდა თეთრგვარდიელებთან, მემამულეებსა და ინტერვენტებთან, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკის ჩახშობას ცდილობდნენ, პროლეტარული რევოლუციის დიდი სტრატეგის ამხანაგ სტალინის ინიციატივით შეიქმნა უძლეველი პირველი ცხენოსანი არმია.

წითელი კავალერია, რომელიც შექმნეს და რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ამხანაგი სტალინი და ვოროშილოვი, უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მომქმედი თეთრი არმიების განადგურების საქმეში.

მაშინდელი „სამხედრო სპეცები", რომელთაც მეთაურობდა ხალხის უბოროტესი მტერი ტროცკი—წითელი არმიის ხელმძღვანელობაში შეპარული — სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ისეთი ძვირფასი მანევრული, მოძრავი და გამანადგურებელი გვარეობის ჯარის შექმნას, როგორიცაა ცხენოსანი ჯარი. მაგრამ ბოლშევიკების პარტიასა და მუშურ-გლეხურ მთავრობას ვერაფერმა შეუშალა ხელი პროლეტარული რევოლუციის მძლავრი ცხენოსანი ჯარის შექმნაში.

ამხანაგმა სტალინმა გენიალური განჭვრეტელობით შეაფასა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ცხენოსან ჯარს მტრის განადგურებისათვის. დიდი ცხენოსანი ჯარის შექმნა და მისი გამოყენება, როგორც ისეთი ძალისა, რომელიც თავს ესხმის და ანადგურებს ყველაზე უფრო ძლიერსა და საშიშარ მტერს, ახალ ძვირფას განძს წარმოადგენდა პროლეტარული სამხედრო ხელოვნების თეორიაში.

წითელი ცხენოსანი ჯარის შექმნა დაიწყო 1918 წელს ცარიცინთან, რომლის გმირულ თავდაცვას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი, ხოლო მისი უახლოესი თანამებრძოლი კ. ე. ვოროშილოვი იყო.

„სწორედ აქ, ცარიცინთან, ჩაისახა და განმტკიცდა წითელი ცხენოსანი ჯარი და საფუძველი გახდა უძლეველი პირველი ცხენოსანი არმიისა, რომელმაც დიდებით შემოსა თავისი საბრძოლო დროშები". (ვოროშილოვი).

* * *

მძლავრი წითელი ცხენოსანი ჯარი ორგანიზებულ იქნა არა ერთბაშად და არა ჩვეულებრივ პირობებში. იგი იზრდებოდა და მტკიცდებოდა თავით ფეხამდე შეიარაღებულ თეთრ გენერლებთან ბრძოლაში. იგი იქმნებოდა სტიქიურად მუშათა, ღარიბესი გლეხობისა და მშრომელი ყაზახობის პატარ-პატარა რაზმებად, რომლებიც ერთბაშადვე დაიძრნენ ცარიცინისაკენ, სადაც ფიცხელ ბრძოლაში შეიარაღებული ძალები ყალიბდებოდა ამხანაგ სტალინისა და ვოროშილოვის ხელმძღვანელობით.

აქ, ცარიცინთან, შედარებით მცირე ნაწილი, რომელსაც მე ვმეთაურობდი, მოკლე ხანში — 1918 წლის დეკემბრისათვის—მე-4 ცხენოსან დივიზიად იქცა. 1919 წლის ივნისში, მე-6 ცხენოსანი დივიზიის შემოერთების შემდეგ, იგი იქცა წითელ არმიაში პირველ ცხენოსან კორპუსად.

თეთრგვარდიელები არაერთხელ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ცარიცინი — ეს უმნიშვნელოვანესი მაორგანიზებელი რევოლუციური ცენტრი, ხელთ ეგდოთ რკინიგზის კვანძი, ვოლგის მთელი ქვემო წელი და შეერთებოდნენ კოლჩაკის თეთრ არმიას.

მაგრამ თეთრმა არმიებმა ამას ვერ მიაღწიეს. წითელმა ჯარმა ამხ. ვოროშილოვის სარდლობით არამარტო შეინარჩუნა ცარიცინი, არამედ 1919 წ. აპრილისათვის შესძლო კიდევაც გადაერეკა თეთრები მდინარე მანიჩს გაღმა.

ცარიცინთან წარმოებული ბრძოლის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობაში განსაკუთრებით დიდია ი. ბ. სტალინის როლი. ამხანაგმა სტალინმა ცარიცინი რევოლუციურ სამხედრო ბანაკად აქცია. ყოველივე ის, რაც პროლეტარიატის დიქტატურის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა ან თუნდაც უვარგისი იყო, აღგვილი იქნა რკინის ცოცხით. ჯარის ნაწილები და ზურგი მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ და ორგანიზებული გახდნენ. ყოველივე ამან დიდ სიმაღლეზე აიყვანა ჩვენი ბრძოლისუნარიანობა.

ცარიცინთან წარმოებულ ბრძოლებში, იმ პერიოდში, როდესაც იგი არაერთხელ იყო ალყაშემორტყმული, ჩვენი ცხენოსანი ჯარის ნაწილები იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ. ისინი ზედიზედ ამარცხებდნენ თეთრგვარდიელებს და შლიდნენ ყველა მათს გეგმას.

მოქმედებდა რა მე-10 არმიის ფლანგებზე და წინ, წითელმა ცხენოსანმა ჯარმა გნილოაქსაისკაიას და აბგანეროვოს რაიონში გაანადგურა თეთრები, რომელთაც თავადი ტუნდუტოვი მეთაურობდა, გაანადგურა პოლკოვნიკ იაკოვლევის ბრიგადა ლოზნოეს რაიონში და გენერალ გოლუბინცევის ჯგუფი პრიამაია ბალკასთან. აქ ცხენოსანი ჯარი პირველად მოქმედებდა მისთვის მიკუთვნებულ ორ ჯავშნოსანთან ერთად.

ამ ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2.000-ზე მეტი ტყვე, 30 ტყვიამფრქვევი, 13 ქვემეხი, მრავალი ჭურვი, უნაგირიანი ცხენები და თითქმის ყველა პოლკის საბარგული.

ეს იყო პირველი დიდი გამარჯვება, რომელიც მოპოვებულ იქნა მე-10 არმიის მარჯვენა ფლანგზე ჩვენი ნაწილების მარცხიანი უკანდახევის შემდეგ. ამ გამარჯვებამ უდიდესი გამოძახილი ჰპოვა მთელს ცარიცინის უბანზე და საგრძნობლად გააძლიერა მე-10 არმიის სულისკვეთება. ეს გამარჯვება ცხენოსანმა ჯარმა მოიპოვა.

არანაკლებ საინტერესოა თეთრგვარდიელთა განადგურება კოტლუბანთან. კაჩალინსკაიას სადგურის აღების შემდეგ, 9 თებერვალს ღამით, დივიზიაში მოირბინა მე-39 მსროლელთა დივიზიის ერთერთი ბატალიონის მეთაურმა, რომელმაც მაცნობა, რომ კოტლუბანის რაიონში თეთრგვარდიელთა ცხენოსანმა ჯარმა, რომელიც სულ მცირე ხუთი პოლკისაგან მაინც შესდგებოდა და რომელსაც გენერალი ალექსეევი მეთაურობდა, ტყვედ ჩაიგდო ჩვენი ქვეითი ჯარის ორი პოლკი, ჯავშნიანი ავტომანქანა და 8 ქვემეხი. მე დაუყოვნებლივ შევკრიბე დივიზია და კოტლუბანისაკენ დავიძარი ვერტიაჩის ხუტორის შემოვლით, რადგან ვფიქრობდი, რომ მტერმა შეიძლება იცოდეს ჩემი ყოფნა კაჩალინსკაიაში და ამ მიმართულებიდან მელოდეს-მეთქი. მე კი, როგორც ყოველთვის, მინდოდა ზურგიდან დამერტყა.

ვერტიაჩში გზადაგზა ხელთ ვიგდეთ საინტენდანტო საწყობები და მრავალი საბარგული, რის შემდეგ კოტლუბანისაკენ გავბრუნდით. ვერტიაჩსა და კოტლუბანს შუა ჩვენი მე-4 პოლკი შეხვდა ტყვე წითელარმიელთა კოლონას, რომელიც 2.000-მდე კაცისაგან შესდგებოდა. ბადრაგი განვაიარაღეთ და ჩვენი წითელარმიელები გავანთავისუფლეთ.

დივიზია წინ მიიწევდა და მოულოდნელი დარტყმით აიღო კოტლუბანის სადგური. მტერი ცარიცინის მიმართულებით გაიქცა, იგი გზაში სტოვებდა აღალს, ტყვიამფრქვევებს, არტილერიას.

თეთრგვარდიელთა ცხენოსანმა ჯარმა სრული განადგურება განიცადა. ჩვენმა დივიზიამ ხელთ იგდო 1.000-მდე ტყვე, 17 ქვემეხი, ყველა ტყვიამფრქვევი და აღალი. აქ განადგურებულ იქნა გენერალ ალექსეევის ჯგუფი, გენერალ მარკოვის სამი საკავალერიო და ორი ქვეითი პოლკი და გენერალ პოპოვის დივიზია, რომელიც ოთხი საკავალერიო პოლკისაგან შესდგებოდა.

კოტლუბანთან თეთრგვარდიელების განადგურებამ გადასწყვიტა მთელი ცარიცინის ფრონტის ბედი, აგრეთვე გენერალ კრასნოვის თეთრგვარდიული არმიის ბედი.

მდინარე მანიჩზე მე-10 არმიის შეტევაში, აგრეთვე ცარიცინისა და შემდეგ — კამიშინისა და სარატოვისაკენ მისი უკან დახევის დროს, კავალერიამ ღირსეულად შეასრულა თეთრგვარდიელთა განადგურების აქტიური და პასუხსაგები ამოცანები, იგი წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას გენერალ ვრანგელის, ულაგაის, პოკროვსკის, შატილოვისა და სხვ. კავალერიასთან.

ამგვარად, ცარიცინთან ბრძოლის დროს წითელი ცხენოსანი არმია გაიზარდა, განმტკიცდა და გადამწყვეტ ოპერატიულ ფაქტორად გადაიქცა.

* * *

1919 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთისათვის განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა. თეთრგვარდიელთა არმიებმა ორიოლი დაიკავეს. მტერი ტულას უახლოვდებოდა, მოსკოვს საფრთხე ემუქრებოდა.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს ჰგზავნის სამხრეთის ფრონტისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამხანაგი სტალინი მუშაობას აჩაღებს სამხრეთის ფრონტების შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციისათვის და ადგენს დენიკინის განადგურების გენიალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მთავარი იერიში ხარკოვ-დონბას-როსტოვის მიმართულებით უნდა ყოფილიყო მიტანილი.

ცხენოსანთა კორპუსს ამხანაგმა სტალინმა დაუსახა საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — გაანადგუროს თეთრგვარდიელთა კავალერია, დაიკავოს ვორონეჟი, კასტორნაია, და კურსკზე დარტყმით გზა მოუჭრას გათავხედებულ მტერს. 19 ოქტომბერს ცხენოსანთა კორპუსმა მძლავრი კონტრიერიშით დაამარცხა მტრის საკავალერიო ნაწილები, რომლებიც მას უტევდნენ, და მოსპო შკუროს კორპუსის დივიზია, ამასთან ხელთ იგდო უამრავი ტროფეები. 23 ოქტომბერს საღამოსათვის ვორონეჟი სამი მხრიდან იქნა გარშემორტყმული; თეთრგვარდიელებმა შეტევას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ; მათ დაგვიტოვეს მდიდარი ტროფეები და გენერალ შკუროს პირადი მატარებელიც კი. ასე განიცადა მტრის უძლიერესმა ცხენოსანმა ჯარმა პირველი სერიოზული დამარცხება.

მთელ სამხრეთის ფრონტზე გადამწყვეტი გარდატეხა ხდება. მომენტი მოითხოვდა ახალ დარტყმას, რათა გაგვენადგურებინა თეთრგვარდიელები კასტორნაიასთან. ცხენოსანთა კორპუსმა შეტევა განაახლა და 15 ნოემბერს სამხრეთიდან შემოვლით და ერთდროული პირდაპირი იერიშით დაამარცხა გენერალ პოსტოვსკის კასტორნიის ჯგუფი და დაიკავა კასტორნაიას სადგური.

ცხენოსანთა კორპუსმა თავისი მოქმედებით სათანადო პირობები შეუქმნა ჩვენს არმიებს იმისათვის, რომ წარმატებით ეწარმოებინათ შეტევა მთელ სამხრეთის ფრონტზე, და ბრწყინვალედ შესრულდა ამხანაგ სტალინის გეგმის პირველი ნაწილი.

ბრძნულად შეაფასა რა ცხენოსანი მასების ძლევამოსილება და დიდი მნიშვნელობა სამოქალაქო ომში, ამხანაგმა სტალინმა დააყენა ცხენოსანი არმიის დაუყოვნებლივ შექმნის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამას პირდაპირ წინააღმდეგობას უწევდა იუდა-ტროცკი. ასე შეიქმნა სტალინური კავალერია — პირველი ცხენოსანი არმია.

იწყება დენიკინის გასანადგურებლად ამხანაგ სტალინის მიერ შედგენილი გეგმის შესრულების მეორე ეტაპი.

ამ ეტაპზე პირველმა ცხენოსანმა არმიამ, მსროლელთა ორი დივიზიითურთ, ფრონტის დამკვრელი ჯგუფი შეადგინა. დონისა და მოხალისეთა იმ არმიების სტრატეგიული დევნის ორგანიზაცია, რომლებიც სამხრეთისაკენ იხევდნენ, ცხენოსანი არმიის სწორად და ოპერატიულად გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს იძლევა.

პირველი ცხენოსანი არმია როსტოვამდე განუწყვეტლივ უქმნის მტერს იმის საფრთხეს, რომ ღრმად შეიჭრას დონისა და მოხალისეთა არმიებს შორის და ამიტომ ამ არმიების უკან დახევა მათთვის დამღუპველ ხასიათს იღებს.

წითელი ცხენოსანი ჯარი ძლევამოსილ შეტევაზე გადადის, იგი სპობს მტრის ცოცხალი ძალის ნაშთებს, და მხოლოდ როსტოვთან, 1920 წლის დამდეგს აწყდება თეთრგვარდიელთა ორგანიზებულ წინააღმდეგობას.

6 იანვარს ტაგანროგი დავიკავეთ, ხოლო 8 იანვარს ღამით, ქუჩებში გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, ავიღეთ როსტოვი — თეთრგვარდიელთა სარდლობის უკანასკნელი დასაყრდენი. მთელ ამ ეტაპზე წითელი ცხენოსანი ჯარი წამყვან როლს ასრულებს ფრონტის მასშტაბით.

როსტოვის აღების შემდეგ ცხენოსანი არმია სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებს ბატაისკთან, ანადგურებს გენერალ პავლოვის კავალერიას და სრული შემადგენლობით ტყვედ იგდებს ბელაია გლინასთან გენერალ კრიჟანოვსკის ქვეითი ჯარის კორპუსს. უკვე არაფერს არ შეეძლო შეეჩერებინა წითელი ჯარების ძლევამოსილი მარში და კონტრრევოლუციურ „რუსეთის სამხრეთი ნაწილის შეიარაღებულ ძალთა" საბოლოო ლიკვიდაცია.

* * *

1920 წლის გაზაფხული. პანების პოლონეთი, რომელიც საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტების მიერ იყო შეიარაღებული და შეჭურვილი, უკრაინის ფარგლებში შემოიჭრა და მაისის დამდეგს კიევი აიღო.

პოლონელი „მეომრებისათვის" რომ ჭკუა ესწავლებინათ, ამხანაგმა ლენინმა და ამხანაგმა სტალინმა გადასწყვიტეს სასწრაფოდ გადაეყვანათ პოლონეთის ფრონტზე პირველი ცხენოსანი არმია, როგორც მძლავრი დამრტყმელი ძალა.

ათასკილომეტრიანი მარშის შემდეგ პირველმა ცხენოსანმა არმიამ 25 მაისს თავი მოიყარა უმანის რაიონში.

პოლონეთის ფრონტზე ცხენოსანმა არმიამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი იარაღის მთელი ძალა. ბრძოლის პირობები აქ რამდენადმე განსხვავდებოდა წინანდელი პირობებისაგან. უკრაინისა და დონის ფართო ველები პოლესიესა და დასავლეთ უკრაინის ტყიანმა და ჭაობიანმა რაიონებმა შესცვალა.

ამის მიუხედავად, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ომის პირველსავე პერიოდში წითელი ცხენოსანი არმიის წარმატებანი ისეთივე განსაცვიფრებელი იყო, როგორც სამხრეთის ფრონტზე.

5 ივნისს მუშტად შეკრულმა პირველმა ცხენოსანმა არმიამ ბრწყინვალედ გაარღვია დამოუკიდებლად მტრის ფრონტი ოზერნთან და მის ზურგში შეიჭრა. წითელმა კავალერიამ, რომელიც თანმიმდევრობით სპობდა პოლონეთის თეთრგვარდიულ არმიებს, დაიკავა ბერდიჩევი, ჟიტომირი, ნოვოგრად-ვოლინსკი, როვნო, დუბნო, ბროდი და აგვისტოს შუა რიცხვებში ლვოვის კედლებს მიადგა. და რომ არ მოესწრო ტროცკის გამცემლურ ბრძანებას, რომელმაც აიძულა ცხენოსანი არმია მობრუნებულიყო გრუბეშოვისა და ზამოსტიეზე გავლით, აუცილებლად ავიღებდით ლვოვს. ცხენოსანი არმიის შემობრუნებამ და ზამოსტიეს რაიონში წაწევამ იგი სრული გარემოცვის პირობებში ჩააყენა. პოლონელებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი ჩვენი ცხენოსანი არმიის წინააღმდეგ და გამარჯვების ზეიმისათვის ემზადებოდნენ. მაგრამ ეს ამაო ოცნება იყო. ცხენოსანმა არმიამ არა მარტო თავი დააღწია გარემოცვას, არამედ სასტიკად დაამარცხა კიდევაც პოლონელები.

პოლონეთის ფრონტზე წარმოებული სამხედრო მოქმედების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ცხენოსანმა არმიამ თეთრგვარდიელ პოლონელთა განადგურების საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვიდრე დენიკინთან ბრძოლაში. პოლონელთა განადგურების საქმეში ცხენოსანი არმია გადამწყვეტ და წამყვან ძალას წარმოადგენდა. ამხანაგი სტალინი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს ხელმძღვანელობდა, ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ თავისი საუბრის დროს ამბობს:

„ეჭვს გარეშეა, რომ ჟიტომირის რაიონში ჩვენი ცხენოსანი არმიის მიერ ფრონტის გარღვევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ფრონტზე მომხდარი გარდატეხის საქმეში".

1920 წლის აგვისტოს დამლევს ყირიმიდან თავი წამოჰყო ბარონმა ვრანგელმა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სამხრეთ - დასავლეთის ფრონტის ზურგს.

პირველი ცხენოსანი არმია ყირიმის ფრონტზე გაიგზავნა იმისათვის, რომ სასწრაფოდ მოეხდინა ვრანგელის ავანტიურის ლიკვიდაცია. 700-კილომეტრიანი მარშის შემდეგ ცხენოსანმა არმიამ მიიღო პასუხსაგები და მძიმე ამოცანა — გადაელახა დნეპრზე კახოვკასთან, გრიგალისებური მარშით მოქცეოდა ზურგში ვრანგელს, მოეჭრა მისთვის ყელებისაკენ მიმავალი გზა და გადამწყვეტი იერიშით მოესპო მტრის მთავარი ძალები.

30 ოქტომბერს ცხენოსანი არმია ზურგში მოექცა ვრანგელს. როდესაც ვრანგელმა იგრძნო, რომ წითელი ცხენოსანი არმია ზურგში მოექცა, სწრაფად იწყო დახევა ყირიმისაკენ.

ბარონ ვრანგელის განადგურებით დამთავრდა პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვანი საბრძოლო გზა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი სტალინის მიერ შექმნილმა პირველმა ცხენოსანმა არმიამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ მოახდინა კონტრრევოლუციის ლიკვიდაცია საბჭოთა რუსეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

* * *

პირველი ცხენოსანი არმიის მთელი გმირული ისტორია ცხენოსანი არმიის ორგანიზაციის, ოპერატიულად გამოყენებისა და საბრძოლო მოქმედების ბრწყინვალე და უბადლო ნიმუშს წარმოადგენს.

ისტორიას არ ახსოვს სხვა მაგალითები, რომ ომის პროცესში შექმნილ, არასაკმაოდ შეიარაღებულ ცხენოსან ჯარს მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ მეთაურთა ხელმძღვანელობით გაენადგურებინოს საუკეთესოდ შეიარაღებული არმიები, რომლებსაც მეთაურობდნენ „სწავლული" გენერლები და ოფიცრები. მსოფლიო იმპერიალისტურ ომში სვენციანის ცნობილი გარღვევის დროს, გერმანიის გენერალ გარნიეს ცხენოსანმა კორპუსმა, რომელიც უაღრესად ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა რუსეთის არმიების ფლანგებზე და ზურგში, ვერავითარი დამარცხება ვერ განაცადევინა რუსეთის ჯარის ვერცერთ ნაწილს.

წითელმა ცხენოსანმა ჯარმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია იმიტომ, რომ მთელი მისი პირადი შემადგენლობა, დაწყებული მეომრებით და გათავებული არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოთი, იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მთელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის; იმიტომ, რომ ცხენოსანი ჯარი შექმნა ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ; იმიტომ, რომ ცხენოსანი ჯარი გამოზარდეს და ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ მას მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი და მისი ერთგული თანაშემწე ამხანაგი ვოროშილოვი.

პირველი ცხენოსანი არმიის საბრძოლო მოქმედების ბრწყინვალე ორგანიზაციამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ცხენოსანი ჯარის შექმნას.

ეს საფუძვლები შემდეგია:

1. თუ წინათ ცხენოსანი ჯარის ნაწილები ძირითადად შეიარაღებული იყვნენ მხოლოდ ხმლებითა და შაშხანებით, წითელი ცხენოსანი ჯარი, თავისი ჩასახვის მომენტიდან, თანდათან აღიჭურვა დიდძალი ტყვიამფრქვევით, არტილერიით, ჯავშნიანი მანქანებით, თვითმფრინავებით, ჯავშნიანი მატარებლებით.

მიდიოდა რა ამ ერთადერთი სწორი გზით, ჩვენი წითელი ცხენოსანი ჯარი ახლა შეიარაღებულია დიდძალი ხელისა და სადაზგო ტყვიამფრქვევებით, ყოველგვარი სახის ტანკსაწინააღმდეგო, საველე და საზენიტო არტილერიით, მძლავრი სწრაფმავალი ტანკებით და ბრძოლის სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ამგვარად, მოტორმა კი არ განდევნა ცხენი, არამედ მისი ერთგული თანამგზავრი და მეგობარი გახდა, ხოლო ცხენოსანი შენაერთები, რომლებიც მსოფლიო ომის დროს დამხმარე საშუალებას წარმოადგენდნენ, გადამწყვეტ ოპერატიულ საშუალებად გადაიქცნენ.

ყოველივე ამან ცხენოსანი ჯარი გადააქცია ისეთი სახის ჯარად, რომელსაც შესწევს უნარი როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა სახის ჯართან ერთად გადასჭრას ყოველგვარი საბრძოლო ამოცანა თანამედროვე პირობებში.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ სიტყვაში ამხანაგმა ვოროშილოვმა განაცხადა: „მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მამაცი წითელი ცხენოსანი ჯარი კიდევ არაერთხელ ბევრს აალაპარაკებს წითელი კავალერიის სიმძლავრესა და ძლევამოსილებაზე. ჩვენი ცხენოსანი ჯარი მთლიანად და თანამედროვე პირობების შესაბამისად არის რეორგანიზებული. იგი არ არის დაუცველი ავიაციისა და ტანკების წინააღმდეგ და ორგანიზებულია ისე, რომ სხვა სახის ჯარებთან ურთიერთმოქმედებაშიც და დამოუკიდებლადაც შეუძლია გადასჭრას სერიოზული საბრძოლო ამოცანები". და შემდეგ: „წითელი კავალერია წინანდებურად წარმოადგენს ძლევამოსილ და გამანადგურებელ შეიარაღებულ ძალას და მას შეუძლია გადასჭრას და კიდეც გადასჭრის დიდ ამოცანებს ყველა საბრძოლო ფრონტზე".

2. ცხენოსანი დივიზიების გარდაქმნა ცხენოსან არმიად, მისი გაძლიერება მსროლელთა შენაერთებით ბრძოლის გარკვეულ ეტაპებზე და გამოყენება დამოუკიდებელი ოპერატიული მიმართულებით, როგორც მთავარსარდლობის გადამწყვეტი საშუალებისა, პირველად მოხდა ისტორიაში.

ცხენოსანი არმია ფრონტის ამოცანებს დამოუკიდებლად სწყვეტდა მეზობელ არმიებთან ოპერატიული ურთიერთმოქმედებით და მის განკარგულებაში მყოფ ან მასთან უშუალოდ დაკავშირებულ მსროლელთა ნაწილებთან ტაქტიკური ურთიერთმოქმედებით. მიილტვოდა რა წინ, ცხენოსანი არმია ანადგურებდა მტრებს ნაწილ-ნაწილად და გადამწყვეტ გარდატეხას ჰქმნიდა მთელს ფრონტზე.

თანამედროვე პირობებში ცხენოსანი ჯარის გამოყენება აუცილებლად დიდი მასებით უნდა ხდებოდეს. ამასთან თვით ცნება გამასობრივებას ახალი მნიშვნელობა ეძლევა. ტანკებით, მოტორიზებული ქვეითი ჯარით გაძლიერებული დიდი ცხენოსანი ორგანიზმები, რომლებსაც დახმარებას უწევს ძლიერი ავიაცია, იქცევიან ცხენოსან - მექანიზებულ არმიებად, რომლებიც მოძრავი სახის ჯარების კომბინატს წარმოადგენენ. ამიტომ სხვა სახის ჯარებთან და განსაკუთრებით სატანკო, მოტორიზებულ ნაწილებთან და ავიაციასთან ცხენოსანი ჯარის ურთიერთმოქმედების საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა მიეცა.

3. ნაწილების, შენაერთებისა და მთლიანად ცხენოსანი არმიის მოქმედებას განსაკუთრებით აქტიური, შეტევითი ხასიათი ჰქონდა ფართო და მოქნილი მანევრის, უეცრივობისა და სისწრაფის გამოყენებით.

მსოფლიო ომში ცხენოსანი ჯარის პასიური მოქმედებისაგან განსხვავებით, როცა იგი ამჯობინებდა ზურგში ლოდინს და ბრძოლის თავიდან აცილებას, წითელი ცხენოსანი ჯარი მუდამ ეძებდა ბრძოლას და მხოლოდ ბრძოლით სწყვეტდა საბრძოლო ამოცანებს.

ცხენოსანმა არმიამ ჩაატარა მთელი რიგი კლასიკური შეტევითი ოპერაციები განსაკუთრებით ძნელ და სხვადასხვაგვარ პირობებში.

წითელი არმიის ნაწილთა, შენაერთთა სარდლობას მუდამ მოეპოვებოდა საჭირო ცნობები ვითარების შესახებ. დაზვერვას დიდი ყურადღება ექცეოდა. დაზვერვა მოქნილი იყო და განუწყვეტლივ სწარმოებდა.

მანევრის მოქნილობა და სწრაფი გადაჯგუფება, ჭარბ ძალთა და საშუალებათა თავმოყრა გადამწყვეტ ადგილზე, უეცარი თავდასხმა და ყველა ძალთა და საშუალებათა მკაფიო ურთიერთმოქმედების ორგანიზაცია, ცხენოსანი ჯარისათვის სისტემატურად დახმარების აღმოჩენა ქვეითი და ცხენოსან მწყობრთა ცეცხლით, ფართო ინიციატივა, მუდმივი კავშირი და ურთიერთდახმარება, — ყოველივე ეს ახასიათებს ცხენოსანი არმიის საბრძოლო მოქმედებას.

ცხენოსანი არმიის საბრძოლო მუშაობა იმის საგულისხმო მაგალითებს გვაძლევს, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობა, ნაწილები და შენაერთები აქტიური და შეტევითი მოქმედების სულისკვეთებით, თავისთავად ცხადია, თანამედროვე ტექნიკის მთელი მრავალფეროვანობის გათვალისწინებით.

ამგვარად, დიდი სტალინის მიერ შექმნილი პირველი ცხენოსანი არმიის მთელი მრავალმხრივი საბრძოლო საქმიანობა იმის განსაკუთრებულ მაგალითებს გვაძლევს, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ და გამოვიყენოთ ცხენოსანი ჯარი და როგორ უნდა დავამარცხოთ მცირე მსხვერპლის გაღებით ყოველგვარი, თუნდაც უძლიერესი მტერი.

წითელმა ცხენოსანმა ჯარმა მტკიცედ შეითვისა პირველი ცხენოსანი არმიის მოქმედების ოპერატიულ-ტაქტიკური საფუძვლები და შეისისხლხორცა რა მისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები, მნიშვნელოვნად იცვალა სახე. შეიარაღდა რა ახალი რთული და მრავალნაირი ტექნიკით, იგი გაცილებით უფრო ძლიერი გახდა და წარმოადგენს მრისხანე ძალას, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ყოველგვარი ოპერატიული ამოცანა.

წითელმა ცხენოსანმა ჯარმა ტანკებთან, მოტორიზებულ ქვეით ჯართან და ავიაციასთან ურთიერთმოქმედებით ბრწყინვალედ შეასრულა ამოცანები, რომლებიც წითელი არმიის სარდლობამ დაუსახა მას პოლონელი პანების უღლისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გვიჩვენა სწრაფი მოძრაობისა და მანევრულობის დიდი უნარი; საზღვარზე გადასვლის შემდეგ პირველ ორ დღეში იგი ბრძოლით გადიოდა 75-100 კილომეტრს დღე-ღამეში. მან გვიჩვენა აგრეთვე დიდი გამძლეობის ძალა, მეომართა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა გმირობა და მამაცობა.

და შემდეგშიც, როცა ეს საჭირო იქნება, წითელი ცხენოსანი ჯარი, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში მყოფი, გაანადგურებს ყოველ მტერს, რომელიც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, კვლავ უქრობი დიდებით შემოსავს წითელ საბრძოლო დროშებს.

ს. მ. ბუდიონის სახლი-მუზეუმი

სტანიცა ბუდიონოვსკაია (როსტოვის ოლქი), 17 ნოემბერი (საქდესი). სტანიცა ბუდიონოვსკაიას განაპირას, პატარა სახლში, სადაც საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი ცხოვრობდა, გახსნილია მუზეუმი. ორ პატარა ოთახში, რომლის მიწური იატაკიც გულდასმით გაგლესილია თიხით, სდგას უბრალო კაზაკური ავეჯი. კუთხეში არის ძველი შაშხანა, რომელიც იპოვეს ამ პატარა სახლის ჩალის სახურავში. ექსპონატთა შორის ადგილობრივი თვითნასწავლი მხატვრების მიერ შესრულებული მრავალი სურათია, სადაც ასახულია პირველი ცხენოსანი არმიის სხვადასხვა საბრძოლო ეპიზოდები. ყურადღებას იპყრობს სურათები: „ბრძოლა ცარიცინთან", „ბრძოლა როსტოვთან".

მუზეუმს ყოველდღე ნახულობს მრავალი კოლმეურნე.

ისტორიული დოკუმენტები პირველი ცხენოსანი არმიის შესახებ

ქვემოთ გამოქვეყნებული საბუთები ასახავენ პირველი ცხენოსანი არმიის გმირული ბრძოლის ცალკეულ მომენტებს. ამხანაგ სტალინის ინიციატივით შექმნილმა პირველმა ცხენოსანმა არმიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა დენიკინის განადგურების იმ გენიალური გეგმის განხორციელების საქმეში, რომელიც ამხანაგ სტალინის მიერ იყო შედგენილი. პირველმა ცხენოსანმა არმიამ ბრწყინვალედ დასძლია მასზე დაკისრებული ამოცანა — ყოფილიყო სამხრეთის ფრონტის დამკვრელი ჯგუფი, მოესპო დენიკინის ჯარის რჩეული ნაწილები, განსაკუთრებით მისი ცხენოსანი რაზმი, და გაენადგურებინა მტრის ზურგი. ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, პირველი ცხენოსანი არმია გადაიქცა უძლეველ ძალად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა წითელი არმიის ბრძოლაში გენერალ კრასნოვის, დენიკინის, პოლონეთის არმიისა და ვრანგელის წინააღმდეგ.

დეპეშა „ცხენოსანი კორპუსი. ბუდიონის" 1919 წლის 28 ოქტომბრის თარიღით ამხანაგ სტალინის პასუხია ცხენოსანი კორპუსის რევოლუციური სამხედრო საბჭოს—ამხანაგ ვოროშილოვის, ბუდიონისა და შჩადენკოს მოხსენებით ბარათზე, რომლითაც ისინი თხოულობდნენ, რათა ცხენოსანი კორპუსი ერთსა და იმავე დროს არ ყოფილიყო მე-10 არმიის, სამხრეთის ფრონტისა და სამხრეთ - აღმოსავლეთის ფრონტის განსაკუთრებული ჯგუფის განკარგულებაში. ეს ერთერთი პირველი საბუთია, სადაც ამხანაგი სტალინი ლაპარაკობს პირველი ცხენოსანი არმიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

1919 წლის 23 დეკემბრის ტელეფონოგრამა, რომელიც გადაეცა ვ. ი. ლენინს სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან ამხანაგ სტალინის დავალებით, იუწყება პირველი ცხენოსანი არმიის მიერ გენერალ მამონტოვის, ულაგაის, შკუროს და ჩესნოკოვის თეთრგვარდიელთა ცხენოსანი ჯგუფის განადგურებისა და პირველი ცხენოსანი არმიის დონბასში შესვლის შესახებ.

დეპეშა ამხ. ბუდიონის სახელზე და ტელეფონოგრამა ვ. ი. ლენინის სახელზე პირველად ქვეყნდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტი

ცხენოსანი კორპუსი. ბუდიონის.

სერპუხოვი, 1919 წლის 28 ოქტომბერი

თქვენდამი რწმუნებული კორპუსი ყოველმხრივ ემორჩილება მხოლოდდამხოლოდ სამხრეთის ფრონტს. საკითხი კორპუსის მომარაგების შესახებ სათანადო დონეზე იქნება დაყენებული, რის შესახებაც განკარგულებას ვაძლევ სამხრეთის ფრონტის მომარაგების უფროსსა და სასურსათო კომიტეტს. კორპუსის ფულადი კმაყოფის შესახებ განკარგულება გაცემულია სამხრეთის ფრონტის მომარაგების უფროსის სახელზე. განზრახვა მეთერთმეტე ცხენოსანი დივიზიის დროებით თქვენს განკარგულებაში გადმოცემის შესახებ მიზნად ისახავს, რომ დივიზია თქვენი ხელმძღვანელობით საბრძოლო მხრივ ისეთივე გახდება, როგორც თქვენი დანარჩენი მე-4 და მე-6 დივიზიები. უახლოეს მომავალში განზრახულია მეთერთმეტე და მერვე დივიზიებისაგან შეიქმნას მეორე ცხენოსანი კორპუსი. განზრახულია ორივე კორპუსი გაერთიანდეს თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ ცხენოსანი არმიის უფლებებით. ამჟამად მეთერთმეტე ცხენოსანი დივიზია მხოლოდ ორი ბრიგადისაგან შესდგება, მესამე მოდის თურქეთის ფრონტიდან. აღნიშნული დივიზიის ფაქტიურ გადმოცემას გაცნობებთ დამატებით, როცა გამოირკვევა, თუ რა პირობები შეიქმნება უახლოეს დღეებში. ერთერთი წინა დეპეშით თქვენთვის მოცემულ შეკითხვაზე მოგახსენეთ ამ დივიზიისათვის მეთაურთა შემადგენლობის შესახებ. კორპუსს დაერქვას „სამხრეთის ფრონტის ცხენოსანი კორპუსი". № 11325 ოპ.

რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი სტალინი

ტელეფონოგრამა ამხანაგ ლენინს

სტალინის ბრძანებით გადმოგცემ შემდეგს:

20 დეკემბრის ბრძოლაში ჩრდილოეთ დონეცის გადასასვლელთან ბუდიონის ცხენოსანმა არმიამ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგის ცხენოსანი ჯგუფი, რომელიც გენერალ ჩესნოკოვის ყუბანის ნაკრებ დივიზიაში შემავალი მამონტოვის, შკუროს და ულაგაის ჯარის ნაწილებისაგან შესდგებოდა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 15 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი, 1000-ზე მეტი ცხენი უნაგირებით, საბარგულები, 800 ცხენოსანი, მნიშვნელოვანი საბუთების დიდი რაოდენობა. აჩეხილია 1000-ზე მეტი თეთრი კაზაკი, მათ რიცხვში გენერალი ჩესნოკოვიც. ჩვენ დავიკავეთ სადგურები ნესვეტაევიჩი და ლისიჩანსკი. დონეცის ხიდი შევაკეთეთ. ჩვენი მოწინავე ნაწილები შევიდნენ უშუალოდ ქვანახშირის რაიონში.

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საქმეთა მმართველი

მიღებულია 23 დეკემბერს 14 საათზე.

პირველი ცხენოსანი არმიის ყოფილ მებრძოლთა შეკრება

სტანიცა ბუდიონოვსკაია (როსტოვის ოლქი), 16 ნოემბერი (საქდესი). გუშინ სტანიცა სადღესასწაულოდ მოირთო. ყველგან გამოფენილია დროშები. ამხანაგების სტალინის, ვოროშილოვის, ბუდიონის პორტრეტები ლამაზად მორთულია წითელი ქსოვილით, ქუჩებში დიდძალი ხალხი გამოფენილა. ბევრ კოლმეურნეს ჩაუცვამს ბუდიონოვკები, წითელყალამიანი ვეებერთელა შავი ფაფახები, კავალერისტის კურტკები. თავს იყრიან და გაცხოველებით საუბრობენ ძველი მებრძოლი ამხანაგები—ცხენოსანი არმიის პირველი მებრძოლნი.

სტანიცა ბუდიონოვსკაია, რომელმაც ჩვენს ხალხს მისცა ისეთი შესანიშნავი სარდალი, როგორიც არის ს. მ. ბუდიონი, ახლა დღესასწაულობს პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვან 20 წლისთავს.

გუშინ, საღამოს, კლუბში გაიხსნა საზეიმო კრება. დაესწრო 1.000 კაცი, რომელიც ჩამოსული იყო ახლომახლო და შორეულ ველის სტანიცებიდან და ხუტორებიდან.

№ ნაწილის მეთაურის ამხ. მიხაილოვის მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ცხენოსანი არმიელები: ამხ. გოლომპიატკინი, ნოვიკოვი, ცუპკინი, ლობოდინი, რადჩენკო, კოვალიოვი და სხვები.

მებრძოლნი დიდი სიყვარულით ლაპარაკობენ ამხანაგ სტალინის როლზე პირველი ცხენოსანი არმიის შექმნაში, ამ არმიის ბრწყინვალე სარდლობაზე—ამხანაგ ვოროშილოვსა და ბუდიონზე.

— ჩვენს პოლკში,—ამბობს კოლმეურნეობა „ორჯ ბუდიონნოვცის" შოფერი ამხ. ვ. ვ. დედიუკოვი, — 1919 წელს ერთი ჯავშნიანი ავტომობილი გვქონდა და იმასაც ბორბალი აკლდა. საჭირო გახდა ურმის ხის ბორბლის შედგმა. მე ამ ჯავშნიანი ავტომობილის მეთაური ვიყავი. ნოვო-ანდრეევსკის სტანიცასთან თეთრები ყოველი მხრიდან მოგვაწყდნენ, მაგრამ ჩვენ ისინი დავამარცხეთ.

— ჩემი, ხისბორბლიანი ჯავშნიანი ავტომობილი სასახელოდ მუშაობდა. ახლა ჩვენს წითელ არმიას ისეთი საომარი საჭურველი, ისეთი ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები და თვითმფრინავები აქვს, რომ სულსა და გულს ახარებს. დღეს ახსოვდეთ მტრებს ჩვენი წითელი არმიის უძლეველი ძლიერება.

შეკრება უდიდესი აღფრთოვანებით იღებს მისალმებას პირველი ცხენოსანი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელისადმი—ამხანაგ სტალინისადმი. მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგებს ვოროშილოვს და ბუდიონს.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის კონფერენცია

16 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის მეორე რესპუბლიკურმა კონფერენციამ, რომელიც გაიხსნა 14 ნოემბერს.

კონფერენციამ მოისმინა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ი. ოსიფაშვილის საანგარიშო მოხსენება კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. არველაძის ანგარიში.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა. კამათი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობდა. მოკამათეებმა აღნიშნეს გარკვეული მიღწევები რესპუბლიკური კომიტეტისა და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პირველადი პროფორგანიზაციების მუშაობაში; ამასთან ერთად მათ მიუთითეს მთელ რიგ ნაკლოვანებებზე და მომავალი მუშაობისათვის დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი.

რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ განხილული იყო ორგანიზაციული საკითხები. კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია რესპუბლიკური კომიტეტი 17 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და 3 დელეგატი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად.

კონფერენციამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. შვერნიკს და პარტიის ცენტრალურ ორგანოს — „პრავდას".

16 ნოემბერსვე შესდგა ახლად არჩეული რესპუბლიკური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 7 კაცი. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ი. ოსიფაშვილი, თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ნ. ღლონტი. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ამხ. ქერია.

ლანჩხუთის რაიონი წინასაარჩევნო დღეებში

ლანჩხუთის რაიონის სარაიონო და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები. სურათზე (ზევიდან-მარცხნიდან მარჯვნივ): ს. იმედაიშვილი, ო. გურიელიძე, ე. კილაძე, ბ. ორაგველიძე, ე. ნაკაიძე, გ. ყიფიანი, გ. ჩხეტიანი, ბ. ღლონტი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

რაიონი ციფრებში

ლანჩხუთის რაიონში ამჟამად 44 კოლმეურნეობაა, რომელიც 6.721 კომლს აერთიანებს. კოლმეურნეობებს უჭირავთ სულ 20.722 ჰექტარი მიწა, რომელზედაც უმთავრესად ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, კეთილშობილი დაფნა, ტუნგო, ლუფა, ევკალიპტი და სხვა ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურებია გაშენებული.

მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობებმა 3.412.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს და ჩააბარეს სახელმწიფოს. აქ წელს დამზადდება 10.000.000 ცალი მანდარინი, ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

○

ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო მეცხოველეობა. 1932 წელს მთელს რაიონში მხოლოდ 10 ფერმა იყო მოწყობილი 449 სული მსხვილფეხა პირუტყვით. ამჟამად კი 88 ფერმაა, მათ შორის 44 — მეძროხეობის, 39 — მეღორეობისა და 5 — მეთხეობის. მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებს ჰყავთ 7.736 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 959 სული ღორი, 449 ცხენი და სხვ.

○

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ლანჩხუთის რაიონში არცერთი აგრონომი არ იყო. ახლა კი კოლმეურნეობებს რამდენიმე ასეული აგრონომი, აგროტექნიკოსი და მეცხოველეობის სპეციალისტი ემსახურება. რაიონში არსებობს მტს-ი და მუშაობს ჩაის 5 ფაბრიკა.

○

იზრდება საკოლმეურნეო შრომის ხვავი და ბარაქა. 1932 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სულ 2.332.000 მანეთი მიიღეს და თვითეულ შრომადღეზე 1 მან. 32 კაპ. გასცეს. შარშან კოლმეურნეობათა შემოსავალმა 13.984.000 მანეთს მიაღწია, შრომადღის ანაზღაურება საშუალოდ რაიონში 6 მან. 64 კაპიკამდე გაიზარდა. წელს კი კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 17.429.000 მანეთს აღემატება. კოლმეურნეობები შრომადღეზე საშუალოდ 8 მანეთს გასცემენ.

○

მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის შესაბამისად იზრდება რაიონის ბიუჯეტიც. 1932 წელს ლანჩხუთის რაიონის მთლიანი ბიუჯეტი 1.064.200 მანეთს უდრიდა, 1938 წელს — 4.515.400 მანეთს, მიმდინარე წელს კი იგი 5.835.600 მანეთამდე გაიზარდა.

○

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ლანჩხუთის რაიონში არ იყო არცერთი საშუალო სკოლა, ახლა კი არის 9. გარდა ამისა, რაიონში გახსნილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, მუსიკალური სკოლა, მედიცინის დებისა და პედაგოგიური სასწავლებლები. რაიონში არსებულ 56 დაწყებით და საშუალო სკოლაში ამჟამად 7.993 მოსწავლეა. მასწავლებელთა რაოდენობა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 240-დან 376-მდე გაიზარდა. მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირემცოდნეობა.

1935 წელს რაიონში იყო 1 კლუბი, 17 სამკითხველო და 1 საბავშვო ბაღი. ახლა კი არის 12 კლუბი, 30 სამკითხველო, 10 საბავშვო ბაღი, 2 მასობრივი ბიბლიოთეკა, ხმოვანი კინო, სახელმწიფო თეატრი და სხვ. 1932 წელს სახალხო განათლებაზე რაიონში სულ 541.600 მანეთი დაიხარჯა, შარშან 2.847.200 მანეთი, წელს კი იხარჯება 3.828.800 მანეთი, მთელი რაიონული ბიუჯეტის 65,6 პროცენტი.

○

საგრძნობლად გაფართოვდა ჯანმრთელობის დაცვის ქსელიც. მეფისა და მენშევიკების ბატონობის დროს მთელს რაიონში ორიოდე ფერშალი მუშაობდა, ფართოდ იყო გავრცელებული ექიმბაშობა. ახლა კი რაიონში 2 საავადმყოფოა და მალე გაიხსნება მესამეც. არის 13 საექიმო და 7 საფერშლო პუნქტი და 12 სხვა საექიმო დაწესებულება. რაიონში ამჟამად 27 ექიმი და 63 ექიმის თანაშემწეა. დანარჩენი საექიმო პერსონალის რიცხვი 162 კაცს უდრის.

○

დღითიდღე ლამაზდება და მშვენიერდება რაიონის ცენტრი — ლანჩხუთი. ფართოვდება ქუჩები, შენდება ახალი ბაღები და სკვერები. ამწვანებენ გზებსა და მოედნებს, ძველი სამიკიტნოების ნანგრევებზე მოწყობილია კულტურული მაღაზიები. რაიონის ცენტრი ყველა სოფელთან დაკავშირებულია საავტომობილო გზებით. რაიონი დაფარულია ტელეფონისა და რადიოქსელით.

სუფსის ნავთის საბადოებზე

ნავთი სუფსაში დიდი ხნის წინათაც იყო შემჩნეული, მაგრამ მეფისა და მენშევიკების სატრაპების დროს ვის ეცალა ასეთი „წვრილმანისათვის". ვერაფერს გახდნენ ვერც ინგლისელი და გერმანელი კონცესიონერები, რომლებიც აქ ჯიბის გასასქელებლად იყვნენ ჩამოსულნი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა ნამდვილი ყურადღება ნავთის საძიებლო სამუშაოების გაშლას. ბოლშევიკებმა გამოგზავნეს აქ გეოლოგები და ინჟინრები, მბურღავები და მშენებლები, მთელი ეს მიდამო გასწმინდეს ბარდისა და ეკლისაგან, გაიყვანეს გზები, ააგეს სახლები და ბარაკები, მოაწყეს წყალსადენი, ამართეს კოშკები, აამუშავეს მანქანები და დაუწყეს ბურღვა მიწის გულს.

10 ჭაბურღილი დაიდგა აქ მოკლე დროში. აქედან ხუთი უკვე დამთავრდა და მალე ექსპლოატაციაში შევა. მარტო ორმა ჭაბურღილმა ოქტომბერში მოგვცა სამიც ტონამდე ნავთი.

მიმდინარე წლის ბოლომდე გეგმა 5 ახალი ჭაბურღილის დადგმას ითვალისწინებს. სუფსელებმა კი იკისრეს 7 ჭაბურღილის დადგმა და გეგმის გადამეტებით 4 ჭაბურღილის ექსპლოატაციაში გადაცემა.

სუფსის ნავთის სტახანოველები, ემზადებიან რა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, ენერგიულად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. მერვე ჭაბურღილის სტახანოველებმა ბურღვა 15 დღით ადრე დაამთავრეს და 69.000 მანეთის ეკონომია მისცეს წარმოებას.

№ 7 ჭაბურღილი, რომლის უფროსად ს. ჩურიევი მუშაობს, ვადაზე 20 დღით ადრე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. აქ სტახანოველებმა ოქტომბერში 250 მეტრის ნაცვლად 375 მეტრი გაბურღეს.

№ 9 კომკავშირული ჭაბურღილის ბურღვისათვის მომზადება 15 ოქტომბერს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დიდი წვიმების გამო 2 დღით დაგვიანდა. მიუხედავად ამისა, ჭაბურღილის კომკავშირელმა სტახანოველებმა თ. ჩიქვაძის მეთაურობით ბურღვის ოქტომბრის გეგმა 122 პროცენტით შეასრულეს, 2 ოქტომბერს კი პირველ ცვლაში 5 მეტრის ნაცვლად 7 მეტრი გაბურღეს.

სუფსის ნავთის საბადოებზე რაიონული საბჭოს არჩევნების ერთი საარჩევნო ოლქი და სასოფლო საბჭოს არჩევნების 2 საარჩევნო ოლქია შექმნილი. საბადოების მოწინავე ადამიანები გეოლოგი სიმონ აბესაძე, ლაბორანტი ლუბა ხომუტენკო, აფშილავა, შ. ღლონტი, ა. დოლიძე და სხვები, რომლებიც ნავთის მუშაკებმა საარჩევნო კომისიებში წარგზავნეს სამუშაოდ, დაკისრებულ საპატიო მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

სუფსის ნავთის სტახანოველები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ ბურღონ სწრაფად და შეუფერხებლად, ქვეყანას მისცენ მეტი ნავთი და ეს კუთხე, წინათ რომ ჭაობითა და ბარდ-ეკლით იყო დაფარული, გურიის მრეწველობის ცენტრად გადააქციონ.

ჩ. მგელაძე

ვემზადებით არჩევნებისათვის

▽

ს. გუაძე

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი

▽

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება ლანჩხუთის რაიონში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ტარდება. ეს მუშაობა ჩვენ ჯერ კიდევ ივლისის უკანასკნელ რიცხვებიდან დავიწყეთ. გამოქვეყნდა თუ არა არჩევნების დებულება, ჩვენ მაშინვე შევუდექით ადგილებზე მის გაცნობას.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ამომრჩეველთა სურვილის გათვალისწინებით შეიქმნა დებულების შემსწავლელი 368 წრე, რომლებსაც რაიკომის ბიუროს მიერ შერჩეული და დამტკიცებული აგიტატორები ხელმძღვანელობენ. 356 აგიტატორი გამოყენებული გვყავს იმ ამომრჩეველთა შორის სამუშაოდ, რომლებიც დებულებას ინდივიდუალურად სწავლობენ, ან კიდევ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ დებულების შემსწავლელ წრეებში სიარულს. აგიტატორებად პირველ რიგში შევარჩიეთ ის ამხანაგები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წინა არჩევნებში.

წრეების ნაწილმა უკვე დაამთავრა არჩევნების დებულების ყველა 12 თავის შესწავლა და ამჟამად მათთან სწარმოებს გავლილი მასალის განმეორება. აგიტატორები და წრის ხელმძღვანელები სისტემატურად ღებულობენ პარტკაბინეტში კონსულტაციას. არჩევნებთან დაკავშირებით აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით აგიტკოლექტივების რიცხვი 13-დან 40-მდე ავიყვანეთ. ამ ღონისძიების გატარების შედეგად უკანასკნელად საგრძნობლად გაუმჯობესდა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ხარისხი. აგიტატორები ახლა არჩევნების დებულების შესწავლასთან ერთად ამომრჩევლებს ესაუბრებიან ჩვენი ქვეყნის წარმატებებზე, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაზე, წითელ არმიაზე, სტალინურ კონსტიტუციაზე, უკითხავენ ჟურნალ-გაზეთებს, მოუთხრობენ ძველი დუხჭირი ცხოვრების ამბებს და სხვ. ამ მუშაობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან აგიტატორები ჩიბათიდან: შარო სარჯველაძე და გ. პატარაია, ნიგვზიანიდან: ი. ჯიჯიეიშვილი, თალია აფხაზავა, ანეტა კომახიძე და გ. როყუა, ჭანჭათიდან: პ. წულაძე და ნ. ვადაჭკორია, ქვემო აკეთიდან: ა. ჩხაიძე, მ. ცირეკიძე, დ. ნაკაიძე და სხვები.

რაიონში სულ 40 საარჩევნო უბანია. შექმნილია რაიონული საბჭოს არჩევნების 42 საარჩევნო ოლქი და სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების 368 საარჩევნო ოლქი. კომისიებში დამტკიცებული არიან რაიონის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს ლენინ-სტალინის დიდი პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება. რაიონული საბჭოს არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ორდენოსანი მასწავლებელი ოლღა გურიელიძე, რომელიც წამოყენებულია დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციების მიერ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებულია სოფელ ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. გოგიჩაიშვილი, რომელიც ჩაის კრეფისა და სხვა მიმდინარე სამუშაოთა გეგმების შესრულებაში მთელს რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა და რაიონის გარდამავალი დროშა მიიღო. კომისიის წევრებად დამტკიცებული არიან სტახანოველი ტრაქტორისტი ი. ჩხაიძე, აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ქალი ე. ჩხაიძე და სხვ.

წარმატებით მიმდინარეობს რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებში ასარჩევ დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება. დეპუტატობის კანდიდატებად რაიონულ საბჭოში წამოყენებული არიან ჩაის კრეფის ცნობილი სტახანოველი ციცინო თევზაძე, რომელმაც წელს 5.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და 10 თვეში 800-მდე შრომადღე გამოიმუშავა, ორდენოსანი მასწავლებელი ოლღა გურიელიძე, რაიონის მოწინავე ექიმი გ. ყიფიანი, სახელმოხვეჭილი სტახანოველი ყონა კილაძე, ციტრუსების ოსტატი ექვთიმე ნაკაიძე და სხვ.

პარტიის რაიონული კომიტეტი, რაიაღმასკომი, ადგილობრივი პარტორგანიზაციები და სასოფლო საბჭოები სისტემატურად იხილავენ საკითხს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობასთან ერთად ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებას. ამჟამად უკვე გამოყოფილი გვაქვს ბინები, შეკეთებულია და მზად არის წინანდელი არჩევნების დროს დამზადებული ყუთები, შირმები, ამომრჩეველთა სიების გასაკრავი ჩარჩოები და სხვა ინვენტარი. ყველა საარჩევნო უბანში, გარდა ერთისა, დადგმულია ტელეფონი. ზოგან გვაკლია შირმები, რაც უახლოეს დღეებში იქნება შეძენილი.

რამდენიმე დღის წინათ რაიკომის ბიურომ შეიმუშავა და დაამტკიცა ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების ოპერატიული გეგმა. აღრიცხულია თვითმოქმედი წრეები (მომღერალთა, მოცეკვავეთა, დამკვრელთა, დრამატიული და სხვ.), რომლებიც არჩევნების დღეს — 24 დეკემბერს ცალკეულ საარჩევნო უბნებსა და ოლქებში გამოვლენ. რაიონის ცენტრში ერთი-ორად დიდდება რადიოწერტების რაოდენობა, ახალი რადიოსატრანსლიაციო ქსელი მოეწყობა სოფლებშიაც. გადაწყვეტილი გვაქვს არჩევნების დღეს ყველა საარჩევნო უბანში მოვაწყოთ ერთდღიანი საბავშვო ბაგა და ბაღი, რომ ამით დავეხმაროთ ბავშვიან ქალებს უკლებლივ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის რაიონში დღითიდღე ფართოვდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ამის შედეგად რაიონმა გეგმის ზევით 62.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. სუფსის ნავთის № 8 ჭაბურღილის სტახანოველებმა 15 დღით ადრე დაამთავრეს ჭაბურღილის საექსპლოატაციოთ მომზადება და 69.000 მანეთის ეკონომიას მიაღწიეს. № 7 ჭაბურღილის სტახანოველებმა ბურღვის ოქტომბრის გეგმა 150,4 პროცენტით შეასრულეს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე მოკლე დროში მივაღწიეთ იმას, რომ ახლა რაიონის ყველა კოლმეურნეობას მოწყობილი აქვს მეცხოველეობის ორ-ორი ფერმა. კერძოდ, მსხვილფეხა მესაქონლეობის ფერმებში მთელ რიგ კოლმეურნეობებს იმდენი პირუტყვი ჰყავთ, რამდენიც გეგმით 1942 წლის ბოლოსათვის უნდა ჰყოლოდათ. მეღორეობის ფერმებში სულადობის ზრდის წლიური გეგმა ვადამდე 2 თვით ადრე და გადაჭარბებით შესრულდა. კოლმეურნეობები ენერგიულად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის. 25.000 ცენტნერის ნაცვლად აღებულ იქნა 69.616 ცენტნერი თივა, აგრეთვე მომარაგებულია 54.000 ცენტნერი ჩალა და სოიას ნამჯა. დაიწყო ციტრუსების დამზადება. კოლმეურნეობები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 10 მილიონი ცალი მარტო მანდარინი, ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

ლანჩხუთის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მასობრივი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას კიდევ უფრო ფართოდ გაშლით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში წარგზავნონ ენერგიული, დიდი სტალინისადმი, ლენინ - სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანები, რომლებიც გაამართლებენ ხალხის ნდობას, იქნებიან მისი მსახურნი.

რას ამბობენ უხუცესი ამომრჩევლები

ივანე კუკულაძე სოფელ ჩიბათის უხუცესი ამომრჩეველია, 110 წელი მას უკვე შეუსრულდა და, მიუხედავად წარსული მძიმე ცხოვრებისა, მაინც ჯანსაღად გრძნობს თავს — თვალიც კარგად უჭრის და სმენაც არ ღალატობს. თბილ ტანსაცმელში გამოწყობილი, იგი მოღიმარი სახით შეგვეგება, სალამი მოგვცა და გულთბილი საუბარი გაგვიმართა.

— ახლა ბედნიერი ხართ, შვილებო, ბედნიერი, — დაიწყო მან, —ისეთ კარგ დროში ცხოვრობთ, რომ ქვეყნიერებას არ მოსწყინდება. მოხუცდი, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, და გულით ვნატრობ ახალგაზრდობას, ახლა კიდევ მინდა დიდხანს ვიცოცხლო. ძალიან მძიმე იყო, შვილებო, წინანდელი ცხოვრება, ტანზე არ გვეცვა და ფეხზე. მიწა ჩვენ არ გვქონდა და ფული. ექვს წელიწადს შინაყმად ვიყავი აზნაურ ოტია ჭყონიასთან და მის ხელში ერთხელ მჭადით და ლობიოთი გაძღომაც კი არ მღირსებია. ძალიან რომ გაგვიჭირდებოდა, ბატონს წისქვილში ფქვილს ვპარავდით, ყანებში მიგვქონდა და იქ ფარულად ვაცხობდით.

— ბატონყმობა რომ გაიყარა, მიწები ისევ თავადებს და აზნაურებს დარჩა. ამიტომ მაინც მათ ვუვარდებოდით ხელში. ოტია ჭყონია ეზოში წლიურად 5 მანეთს გვახდევინებდა, საყანეში — 15 მანეთს. ჩვენს დამუშავებულ ყანაში მოსული ლობიოს და ჩალის გადასახადი კიდევ სხვა იყო. ყოველ ახალ წელიწადს ბატონისათვის უფასოდ 9 ქათამი, ერთი სარწყავი ღვინო და ერთი ქილა ღომი უნდა მიგვერთმია.

— ძველ დროში, — განაგრძობს ივანე,—ჩვენ პირუტყვად გვთვლიდნენ. გახშირებული იყო გლეხების ყიდვა-გაყიდვა. კარგად მახსოვს, ოტია ჭყონიამ ჯურუყვეთში ქალიშვილი გაათხოვა და მას მზითვად ბიძაჩემი ნიკო კუკულაძე გაატანა. ბიძაჩემმა იქ ცოლი შეირთო და შვილიც შეეძინა. ძალიან გაჭირვებით ცხოვრობდნენ, იხვეწებოდნენ— ბატონისაგან გამოგვისყიდეთო. მაჩემმა ოჯახი გაყიდა, ვალი აიღო და ბიძაჩემი თავისი ცოლშვილით 300 მანეთად დაიხსნა ჭყონიას სიძისაგან.

— ვინც ბატონის წინააღმდეგ ხმის ამოღებას გაბედავდა, ან ურჩობას დაიწყებდა, მათთვის მზად იყო ნაბახი, ხის ხუნდები და შოლტი. ერთხელ შინაყმა კონსტანტინე გალოგრე სახლში გაიპარა, თავის მაგივრად ბატონის სასამსახუროდ ერთი კვირით ძმა გამოუშვა. როცა დაბრუნდა, ბატონმა იგი წამოაქცია და წინდაწინ მომზადებული შოლტის კონებით თვითონ ჩვენ გვაცემინა. შინაყმა სიმწარისაგან ბღაოდა, ცემისაგან გრძნობა ეკარგებოდა, ოტია ჭყონია კი ამ სურათს უყურებდა და იცინოდა. ახლა კი ცამ პირი გაგვიხსნა, ბატონები თავიდან მოვიშორეთ, მიწა ჩვენია და შრომაშიც არავინ გვეცილება. მთავრობას თვითონ ჩვენ ვირჩევთ, ყველაფერში გვეხმარებიან და ხელს გვიწყობენ. ერთი სიტყვით, ბედნიერი დრო დაგვიდგა, შვილებო, ბედნიერი. იცოცხლეთ, იშრომეთ და გაიხარეთ,—ასე დაამთავრა თავისი საუბარი ივანე კუკულაძემ.

მეტად საინტერესო ამბები გვიამბო აგრეთვე ამავე სოფლის 112 წლის ამომრჩეველმა **ექვთიმე პატარაიამ.**

— 14 წლისა რომ გავხდი, — მოგვითხრო მან,—ჩემმა ბატონმა ალექსი ჭყონიამ 80 მანეთის ნამთავნში აზნაურ ერასტი ჭყონიასთან დამაწინდრა. 12 წელიწადი ვემსახურე მას შინაყმად და განთავისუფლება მხოლოდ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მოვახერხე. მთელ სოფელს გაჭირვება სულს გვიხუთავდა. ცოლის მოყვანის დროს ქალამანს მეზობლები ერთმანეთისაგან ვთხოულობდით. ვიცვამდით სახლში მოქსოვილ ხამის პერანგს და ისიც ძვირად საშოვარი იყო. ვიგებდით ჩალას და ვიხურავდით ჭილოფს. გაჭირვებული იყო მევახშეობა. ივანე, იაგორა, ფრიდონა და მერმანდია ჭყონიებს რომ გლეხისათვის ერთი თუმანი ესესხებინათ, კვირაში ერთი დღე უფასოდ უნდა მიხმარებოდი ყანაში, თავნი და ნამთავნი ხომ კიდევ სხვა იყო.

— მთელს ჩიბათში,—განაგრძობს ექვთიმე პატარაია, — გარდა აზნაურებისა ოდა არავის ედგა. ქვეყნის საქმეს აზნაურები, მამასახლისები, ჩაფრები და მოურავები მართავდნენ. არავინ არაფერს გვეკითხებოდა. საზოგადო კრებას მხოლოდ მაშინ მოიწვევდნენ, როცა მაზრის უფროსი მოიწერებოდა—მოვდივარო. და ამ კრებაზეც მხოლოდ გადასახადებისა და ბეგარის გარშემო ლაპარაკობდნენ. სკოლა ხომ არ იყო და არა. მთელს სოფელში წერა-კითხვა წარჩინებული აზნაურისა და მღვდლის მეტმა არავინ იცოდა. ახლა თვალს დამაკლდა, ძველმა გაჭირვებამ წელში გამტეხა, თორემ მიუხედავად მოხუცებულობისა, წერა-კითხვას მაინც ვისწავლიდი, რომ ჩვენი საყვარელი **სტალინისათვის** საკუთარი ხელით ნაწერი მადლობის წერილი გამეგზავნა.

მოხუც ამომრჩევლებს ივანე კუკულაძეს და ექვთიმე პატარაიას ადგილობრივი საბჭოს არჩევნების გარშემო ახლა ხშირად ესაუბრება კოლმეურნე აგიტატორი გ. პატარაია. მათ ახლა კარგად იციან არჩევნების დებულება და ახალგაზრდული ალტაცებით ელოდებიან იმ დღეს, როცა მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ ხალხის რჩეულთ.

ტ. აცანელი.

ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის სასოფლო-საბჭოს საარჩევნო კომისია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ლ. პატარაია, ნ. პატარაია, ს. პატარაია, კ. ზოიძე და ბ. ღლონტი. ფოტო რ. აკოფოვისა.

როგორ ვატარებ აგიტაციას კოლმეურნეობაში

მეორე თვეა, რაც აგიტატორად ვმუშაობ და ამ მოკლე ხნის განმავლობაში უკვე დიდი გამოცდილება შევიძინე.

მიმაგრებული ვარ ქვემო-ჩიბათის სასოფლო საბჭოს არჩევნების № 22 საარჩევნო ოლქზე. ამ ოლქში სულ 53 ამომრჩეველია. პირველი ჩემი საგიტაციო მუშაობა დავიწყე იმით, რომ განვუმარტე ამომრჩევლებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩატარებას ჩვენი შემდგომი კეთილდღეობის ზრდის საქმეში, ვესაუბრე იმ უფლებებზე, რასაც მათ სტალინური კონსტიტუცია ანიჭებს. ამ მუშაობაში ჩავაბი მოხუცი ამომრჩევლებიც, რომლებიც მოუთხრობდნენ ახალგაზრდებს მამასახლისის არჩევნების დროზე, იმაზე თუ რა აბუჩად იგდებდნენ ხალხს მეფის მთავრობის მოხელეები.

შემდეგ შევუდექი არჩევნების დებულების შესწავლის ორგანიზაციას. ყველას შევაძენინე ლიტერატურა და თვითეული ამომრჩევლის სურვილის გათვალისწინებით შევადგინე არჩევნების დებულების შემსწავლელი წრე, რომელშიაც 34 კაცია გაერთიანებული. დანარჩენთაგან ნაწილი დამოუკიდებლად მეცადინეობს.

დებულების შესწავლას 11 მეცადინეობა მოვანდომე. ყოველი მეცადინეობის წინ ამომრჩევლებს ვესაუბრებოდი საერთაშორისო საკითხებზე, ვუკითხავდი „კომუნისტში" და სხვა გაზეთებში მოთავსებულ მეთაურ წერილებს და საინტერესო სტატიებს.

პირველ ხანებში წრის მსმენელები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი, შემდეგ კი გააქტიურდნენ. მაგალითად, კოლმეურნე გიორგი პატარაიამ მომთხოვა განმემარტა მისთვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ ხელშეკრულებას. ამ საკითხზე პირადად რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგისაგან მივიღე კონსულტაცია და როცა საუბარი ჩავატარე, ყველა კმაყოფილი დარჩა. მსმენელებმა მრავალი შეკითხვა მომცეს და მათ იქვე გავეცი ამომწურავი პასუხი.

რამდენიმე დღის წინათ ჩიბათში დამთავრდა საშუალო სკოლის ორსართულიანი ახალი შენობის აგება. ეს შემთხვევა მოხერხებულად გამოვიყენე. სკოლის გახსნის დღეს დებულების შემსწავლელი წრის მორიგ მეცადინეობაზე მსმენელებს ვუამბე, თუ რა წარმატებას მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ სახალხო განათლების დარგში. საუბრის დროს ჩვენი რაიონისა და სოფლის ცოცხალი მაგალითებიც მოვიყვანე, რამაც საუბარი უფრო საინტერესო გახადა.

საარჩევნო აგიტაციას ვუკავშირებ საწარმოო საკითხებსაც, ამის შედეგად დღითიდღე ფართოვდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრება, უფრო და უფრო მტკიცდება შრომის დისციპლინა, იზრდება შრომის ნაყოფიერება. კერძოდ, სოფ. ქვემო-ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის № 5 ბრიგადამ, სადაც სასოფლო საბჭოს არჩევნების № 22 საარჩევნო ოლქია მოწყობილი, ჩაის კრეფის წლიური გეგმა ხარისხის დაცვით 110 პროცენტით შეასრულა. მთლიანად შესრულებულია აგრეთვე ჩაის აპრობაციის, ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადების, ციტრუსების რგვისა და სხვა სამუშაოთა გეგმებიც.

არჩევნების დებულების შემსწავლელ იმ წრის მსმენელთაგან, რომელსაც მე ვამეცადინებ, სტახანოველი კოლმეურნე მარო პატარაია რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის წევრია, ხოლო ბრიგადირი პლატონ პატარაია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი. ისინი ახლა არა მარტო თვითონ ერკვევიან არჩევნების დებულებაში, არამედ სხვებსაც ასწავლიან.

დღემდე ჩატარებული მუშაობა პირველი ნაბიჯია. მთავარი წინ არის. ახლა მთელი ჩემი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი მაქვს იმაზე, რომ კიდევ უკეთესად მოვაწყო აგიტაცია რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატების კანდიდატების სასარგებლოდ.

გ. პატარაია

სოფ. ქვემო-ჩიბათის კოლმეურნეობის წევრი, აგიტატორი.

ახალი წარმატებებით შევხვდეთ სახალხო ზეიმის დღეს

არასოდეს ქალებს ცხოვრებისა და შრომის ისეთი პირობები არ ჰქონიათ, როგორიც ახლა აქვთ. სტალინური კონსტიტუციით ჩვენ მონიჭებული გვაქვს მამაკაცთან თანასწორი უფლებები სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ჩვენ ვსარგებლობთ უფლებით ავირჩიოთ და არჩეულ ვიქნათ მამაკაცების თანაბრად.

ქალი კოლმეურნეობაში მართლაც რომ დიდი ძალაა. კერძოდ სოფ. შუხუთის საბჭოთა კავშირის გმირების სახელობის კოლმეურნეობაში 300 მუშა-ხელიდან 200-მდე ქალია, რომლებიც მამაკაცების თანაბრად ყველა სახის სამუშაოს ასრულებენ. გახსნილი გვაქვს საბავშვო ბაღი და ბავშვთა 7 კერა-პრიმიტივი, რომლებიც დიდ დახმარებას უწევს ქალებს საკოლმეურნეო შრომაში.

ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში 4 ბრიგადას ქალები ხელმძღვანელობენ. ბევრი გვყავს სტახანოველი ქალებიც.

სტახანოველმა მარო ორაგველიძემ რამდენიმე დღის წინათ ევკალიპტის პიკირების ნორმა სამმაგად შეასრულა, ასევე კარგად მუშაობენ ნინო ბზეკალავა, თამარ ტუღუში და სხვ. სტახანოვური შრომის შედეგად წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა.

თვითეული ჩვენთაგანი ახლა საკოლმეურნეო ბრიგადებში აგიტატორად მუშაობს. ამომრჩევლებს ვასწავლით არჩევნების დებულებას, ყოველდღიურად ვუკითხავთ ახალ გაზეთებს, ვესაუბრებით სტალინურ კონსტიტუციაზე, ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე წარმატებებზე. სტახანოველი კოლმეურნეები თამარ დოლიძე, ლეო იმნაიშვილი და სხვები საარჩევნო კომისიის წევრებად არიან დამტკიცებულნი და აქტიურად მონაწილეობენ არჩევნების სანიმუშოდ მომზადების საქმეში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს შუხუთელი კოლმეურნე ქალები ახალი საწარმოო აღმავლობით ხვდებიან. წარმოებისაგან მოუწყვეტლად 9 კოლმეურნე ქალმა, მათ შორის ჩვენც, ახლახან ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები ფრიადზე და კარგზე დავამთავრეთ. მალე დაიწყებს მუშაობას საშოფერო კურსებიც, სადაც 30 მსმენელიდან 19 ქალი იმეცადინებს. არჩევნებთან დაკავშირებით ვაგებთ საკოლმეურნეო კლუბს, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე დამთავრდება.

ჩვენ, ვკისრულობთ ვალდებულებას კიდევ უფრო გავაძლიეროთ არჩევნებისათვის მზადება. დავრაზმოთ კოლმეურნე ქალები იმისათვის, რომ ვადაზე ადრე შევასრულოთ ჩაის მსუბუქი შებარვის, პლანტაციებში მინერალური სასუქის შეტანის, ლაოჩაის კრეფის, ჩაის თესლის დამზადების, ციტრუსების გამოზამთრებისა და ყველა სხვა მიმდინარე სამუშაოთა გეგმები, გავაძლიეროთ თავდაცვითი მუშაობა კოლმეურნეობაში და სახალხო ზეიმის დღეს—24 დეკემბერს შევხვდეთ კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლებით.

სოფ. შუხუთის საბჭოთა გმირების სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი აგიტატორები ფაცია ჯიბლაძე, ლუბა იმნაიშვილი, ქეთო კუნჭულია, რუსუდან ფირცხალაიშვილი, გოგუცა ორაგველიძე.

ლანჩხუთის რაიონი. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრი, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკა, სუფსის ნავთის № 9 კომკავშირული ჭაბურღილი, სოფ. ხაჯალიას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველი ციცინო თევზაძე ციტრუსების ბაღნარში, სოფ. ჩიბათის ახლადაგებული საშუალო სკოლის შენობა, ლანჩხუთის კინო-თეატრი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საიმონის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს პალატაში სამხედრო მოქმედების მორიგი მიმოხილვით გამოვიდა ფინანსთა მინისტრი საიმონი.

თავისი სიტყვის დასაწყისში საიმონი შეეხო ინგლისისა და საფრანგეთის პასუხს ბელგიის მეფისა და ჰოლანდიის დედოფლის სამშვიდობო წინადადებაზე. მან განაცხადა, რომ გერმანია არასწორად გადმოგვცემს ინგლისისა და საფრანგეთის პასუხს, როგორც ბელგიისა და ჰოლანდიის სამშვიდობო წინადადებაზე უარის თქმას. „საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, — სთქვა საიმონმა, — რომ ამ წინადადებაზე გერმანიის პასუხი გზას გაუხსნის კონფლიქტის მშვიდობიანად და დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტას. გუშინ რიბენტროპმა ჰიტლერის სახელით ბელგიის ბერლინელ ელჩსა და ჰოლანდიის ბერლინელ დესპანს აცნობა, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისმა და საფრანგეთმა პირდაპირ უარი სთქვეს მიეღოთ ზავის წინადადება, გერმანიის მთავრობას საკითხი ამოწურულად მიაჩნია".

შემდეგ საიმონი შეეხო ხმებს, თითქოს გერმანია აპირებს ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის დარღვევას. საიმონმა მოიყვანა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ოფიციალური განცხადება, რომ გერმანიას განზრახვა აქვს შემდგომაც პატივისცემით მოეპყრას ჰოლანდიისა და ბელგიის ნეიტრალიტეტს მანამდე, სანამ ინგლისი და საფრანგეთი ასევე იქცევიან, და მანამდე, სანამ ბელგია და ჰოლანდია თვითონ შესძლებენ სასტიკი ნეიტრალიტეტის დაცვას. მოიხსენია რა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ჰოლანდიის მთავრობას მიზეზი არა აქვს ნეიტრალიტეტის დარღვევისა ეშინოდეს, საიმონმა სთქვა: „დაძაბულობის შენელებას, რაც ამ განცხადებებს მოჰყვა, ინგლისის მთავრობა კმაყოფილებით შეხვდა".

შემდეგ საიმონმა აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა ემბარგოს გაუქმების შესახები კანონის მიღებით მოკავშირეებს დაუბრუნეს უფლება მნიშვნელოვანი რაოდენობით შეისყიდონ მათთვის საჭირო საქონელი. ნაკლებ დამაკმაყოფილებელი მოვლენაა, — სთქვა შემდეგ საიმონმა, — საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მთავრობათა შორის მოლაპარაკების ფაქტიური შეწყვეტა. 13 ნოემბერს ფინეთის დელეგაცია გაწვეულ იქნა მოსკოვიდან.

შემდეგ საიმონმა თემთა პალატას გააცნო იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელიც სწარმოებდა ინგლისში ჩამოსულ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრ რეინოსთან ფინანსების დარგში ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა საქმიანობის კოორდინაციის შესახებ, გააცნო აგრეთვე, თუ როგორ მიმდინარეობს იმპერიის მთავრობის მოლაპარაკება დომინიონებისა და ინდოეთის წარმომადგენლებთან. მოლაპარაკების დროს აღძრულ იქნა თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის, მომარაგების, ეკონომიური ომისა და ნაოსნობის საკითხები.

დასასრულ, საიმონმა განაცხადა, რომ ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ფრონტებზე არავითარი დიდი ოპერაცია არ მომხდარა.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 16 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინ მოზელსა და საარს შორის წინა დღეებზე უფრო გაცხოველებული საზვერავი და საარტილერიო მოქმედება იყო. საარსა და რაინს შორის საარტილერიო სროლა შენელდა; რაინის ზედა წელის რაიონში სიწყნარეა. რაინის დასავლეთ ნაპირზე მოწინააღმდეგემ გააძლიერა საფორტიფიკაციო სამუშაოები. საფრანგეთის ჯარის ცალკე ჯგუფები დროდადრო გამოდიოდნენ თავიანთი თავშესაფრებიდან და ნიშნებით გამოჰხატავდნენ თავიანთ კმაყოფილებას ფრონტზე არსებული სიმშვიდის გამო.

უფრო გაცხოველებით მიმდინარეობდა ომი ზღვაზე. ცნობა, რომ გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ამ დღეებში ჩასძირა რამდენიმე გემი, რომელთა წყალწყვა 26 ათას ტონას უდრიდა, გერმანელთა მიერ საზღვაო ომში მიღწეულ წარმატებათა მხოლოდ ნაწილს ახასიათებს. წინააღმდეგ მტრის მიერ მრავალჯერ განმეორებული ცნობისა, გერმანიის წყალქვეშა ნავები ჩაძირეთო, ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მიღებულია მრავალი ცნობა ინგლისის ფლოტისათვის მიყენებული ზარალის შესახებ.

გერმანიის ეკონომიური დელეგაცია რუმინეთში

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საქდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ბუქარესტიდან იუწყება, ბუქარესტში ჩავიდა გერმანიის ეკონომიური დელეგაცია.

თურქეთის საგარეო ვაჭრობის შემცირება

ბერლინი, 16 ნოემბერი (საქდესი). თურქეთის ოფიციალური ცნობების თანახმად, თურქეთის იმპორტი მიმდინარე წლის სექტემბერში გასული წლის ამავე თვის იმპორტის დაახლოებით მხოლოდ მესამედს შეადგენს და 5,39 მილიონ თურქულ ლირას უდრის.

რაც შეეხება ექსპორტს, იგი მიმდინარე წლის სექტემბერში შეადგენს 11,22 მილიონ თურქულ ლირას, გასული წლის სექტემბერში კი 13,80 მილიონ ლირას უდრიდა. გერმანია-თურქეთის საკლირინგო შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამ უარყოფითი გავლენა მოახდინა თურქეთის საგარეო ვაჭრობაზე.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ინგლისში დღითი-დღე იზრდება იმ ლეიბორისტულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც საპროტესტო ხმას იმაღლებენ ომის წინააღმდეგ. გაზეთმა გამოაქვეყნა რეზოლუციების ვრცელი სია, რომლებშიც მუშათა ორგანიზაციები ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ერთერთ ასეთ რეზოლუციაში, რომელიც კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის აღმასკომმა მიიღო, ნათქვამია, რომ კავშირგაბმულობის მუშაკები მხარს უჭერენ მოთხოვნას საზავო კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რათა გადაარჩინონ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის. ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ ქალაქ პერტის მშენებლები, ქალაქ შეფილდის რკინიგზელები, სკანტჰორპის (ლინკოლნის საგრაფო) მექვაბეები და სხვ.

ამასთან ერთად გაზეთი აქვეყნებს ადგილობრივი ლეიბორისტული ორგანიზაციების მიერ მიღებულ მრავალ რეზოლუციას, რომლებიც ჰგმობენ ლეიბორისტთა თანამშრომლობას მთავრობასთან.

გერმანია-შვეციის სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარჰყო ცნობა გერმანია-შვეციის სავაჭრო მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მოლაპარაკება გადაიდო, რათა საშუალება მიეცეს გერმანიის დელეგაციას ახალი ინსტრუქციები მიიღოს.

საბჭოთა კინოფილმების საზოგადოებრივი გასინჯვა ბუქარესტში

ბუქარესტი, 15 ნოემბერი (საქდესი). გუშინ საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ბუქარესტში მოაწყო საბჭოთა კინოფილმების საზოგადოებრივი გასინჯვა. დემონსტრირებულ იქნა კინოსურათები „ბალტიკის დეპუტატი" და „1939 წლის ფიზკულტურული პარადი".

გასინჯვა მოხდა ქალაქის ერთერთ საუკეთესო კინოთეატრში.

საზოგადოებრივ გასინჯვას დაესწრნენ მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, ადგილობრივი და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები, რუმინეთის საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწენი. კინოთეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

ფილმებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე.

დღეიდან კინოფილმი „1939 წლის ფიზკულტურული პარადი" დემონსტრირებული იქნება ბუქარესტში და რუმინეთის სხვა ქალაქებში.

ინგლისი არ ასრულებს ჰოლანდიის დაკვეთებს

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). „დეილი ჰერალდის" ამსტერდამელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰოლანდიელი ფერმერები ინგლისური წარმოების სასოფლო-სამეურნეო მანქანებს გერმანული მანქანებით სცვლიან იმის გამო, რომ ინგლისი არ ასრულებს მათს დაკვეთებს. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ინგლისის ფირმები, აღნიშნავს კორესპონდენტი, იმასაც კი არ სთვლიან საჭიროდ, რომ სუხი გასცენ ჰოლანდიელ იმპორტიორთა წერილებზე, ხოლო თუ პასუხს გასცემენ, იგი ჩვეულებრივ უარს შეიცავს. იმ დიდი აქტივობის შედეგად, რასაც გერმანიის ფირმები იჩენენ, ინგლისელები ალბათ მალე სავსებით დაჰკარგავენ ჰოლანდიის ბაზარს. ეს შეეხება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, არამედ სხვა სახის იმპორტსაც. თითქმის ყოველი ჰოლანდიელი მრეწველი აცხადებს, ამჟამად შეუძლებელია რაიმე საქმის დაჭერა ინგლისთან.

მდგომარეობა ჰოლანდიაში

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ამსტერდამელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იმ პანიკის შემდეგ, რაც უკანასკნელ დღეებში იყო, ჰოლანდიაში იწყება ნორმალური ცხოვრების აღდგენა. კერძოდ, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ის არხი, რომელიც ამსტერდამს ჩრდილოეთის ზღვასთან აერთებს, კვლავ გაიხსნა ნაოსნობისათვის.

ინდოელი სოციალისტების პასუხი გრინვუდის სიტყვაზე

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). ჟურნალი „ნიუ ლიდერი" (დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო) იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ გრინვუდმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდა ბრიტანეთის იმპერიას მხარი დაუჭიროს ინგლისს ომში, ინდოელი სოციალისტების კონგრესმა (ემხრობა ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს) გრინვუდს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „თუ ინგლისის ლეიბორისტული პარტია დემოკრატიისათვის ზრუნავს, წინადადებას ვაძლევთ მას პირველ რიგში მიაპყროს ყურადღება ინდოეთს. „ინდოეთის თავდაცვის კანონის" შემოღებით ჩვენში ყოველგვარი თავისუფლება მოისპო. ინდოეთის მართვა-გამგეობის კანონის შესწორებებმა, რომლებიც მიღებულ იქნა ლეიბორისტული პარტიის მხარდაჭერით, მოსპეს პროვინციების ავტონომია. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ლეიბორისტულ პარტიას იბრძოლოს რეაქციის წინააღმდეგ შინ, თავის ქვეყანაში. ინგლისის სოციალისტების პირველი მოვალეობაა თავისი საკუთარი იმპერიალიზმის მოსპობა".

განდის განცხადება

ლონდონი, 16 ნოემბერი (საქდესი). ინგლისურ გაზეთ „ნიუს ქრონიკლში" მოთავსებულია განდის განცხადება, რომლითაც იგი კვლავ ადასტურებს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პოზიციას ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტის მინიჭების შესახებ... „ინდოელთა აზრით,—სწერს განდი,— ნაციონალურ უმცირესობათა საკითხი ინგლისის ხელისუფალთა მიერ იმისთვის არის წამოყენებული, რომ აურდაურიოს სხვა საკითხები. ინგლისის მთავრობის დაპირება—ადგილობრივ მთავრებს მონაწილეობას მივაღებინებ მომავალი ინდოეთის საკითხის განხილვაშიო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ეს მთავრები გაბატონებული წრეების ნაწილს შეადგენენ.

ამავე დროს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა საჭიროდაც კი არ დაინახეს მოეხსენებინათ ამ ადგილობრივ სამთავროთა მილიონობით მოსახლეობის ბედი. განა მათ თავიანთ საკუთარ მთავრობაში ხმა არ უნდა ჰქონდეთ? განა ისინი უნდა დარჩნენ ყმებად, როგორც ახლა არიან, ყმებად, რომლებიც თავიანთი ნებასურვილის წინააღმდეგ ჩააბეს ომში? თუ ინგლისსა და ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს შორის ბრძოლა იქნება, მთელმა მსოფლიომ კარგად უნდა იცოდეს, თუ რისთვის არის ეს ბრძოლა".

სტეინბეკის რომანის „მრისხანების ნაყოფის" წინააღმდეგ გალაშქრება ამერიკაში

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ქალაქ სან ლუის (ილინოისის შტატი) საბიბლიოთეკო სამმართველომ განკარგულება გასცა დასწვან სტეინბეკის უაღრესად პოპულარული, თანამედროვე ამერიკული რომანი „მრისხანების ნაყოფი". ამას წინათ სან-ფრანცისკოს და კალიფორნიის სხვა ქალაქების ზოგიერთმა ბიბლიოთეკამ მკითხველებს არ მისცა ეს რომანი იმიტომ, რომ იგი ვითომდა „მიუღებელია თავისი შინაარსით". სტეინბეკის რომანის აკრძალვის ცდას პროგრესიული პირები იმით ხსნიან, რომ რეაქციული წრეები ცდილობენ მოსპონ ეს წიგნი, რომელიც განსაკუთრებული ძალით ასახავს კალიფორნიაში ემიგრირებულ სასოფლო-სამეურნეო მუშათა ცხოვრების მძიმე პირობებს.

სიძვირე საფრანგეთში

ბერლინი, 16 ნოემბერი (საქდესი). გაზეთ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის" კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, რომ საფრანგეთში კვლავ მატულობს ფასები სურსათზე. ამას წინათ მოუმატეს პურის ფასს. ამჟამად 10 პროცენტით გაძვირდა რძე. მონოპოლიების ფასები კიდევ უფრო მატულობს. მაგალითად, თამბაქო 40 პროცენტით გააძვირეს.

ფინეთის მშრომელთა სავალალო მდგომარეობა

ჰელსინკი, 17 ნოემბერი (საქდესი). პრესაში სულ უფრო-და-უფრო ხშირად აქვეყნებენ ცნობებს ფინეთის მშრომელთა სავალალო მდგომარეობის შესახებ, რაც გამოწვეულია მთავრობის საომარი ღონისძიებით.

გაზეთი „სუომენ სოსიალდემოკრატი" ათავსებს მოკლე ცნობას იმ რეზერვისტების ოჯახების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ჯარში არიან გაწვეულნი. დახმარების გაცემასთან დაკავშირებული გამოკვლევის დროს გამოირკვა, როგორც გაზეთი აღიარებს, მუშათა ოჯახების საშინელი სიღარიბე. მრავალი ოჯახი ჰელსინკის გარეუბნებსა და მის ძველ რაიონებში უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს, ისინი მოთავსებული არიან ძველ, ნახევრადდანგრეულ ხის ქოხებში, საშინელ სივიწროეში. ბინის ქირა მეტად მაღალია. რეზერვისტების ოჯახები, გაზეთის სიტყვით, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნაკლებობას განიცდიან.

„პ. გრეკოვი" გრიბოედოვის თეატრში

შემტევი ბოლშევიკური სიფხიზლის თემაზე დაწერილ მრავალრიცხოვან პიესებს შორის „პაველ გრეკოვი" ყველაზე დასრულებული დრამატიული ნაწარმოებია. მასში ასახულია ის ბრძოლა, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია და საბჭოთა ხალხი აწარმოებდნენ კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის— ტროცკისტ-ბუხარინელი გაიძვერებისა და ადგილობრივი ნაციონალისტების წინააღმდეგ.

მავნებლობის, დივერსიების, ტერორისა და შეიარაღებული თავდასხმის გარემოცვაში უხდება ბოლშევიკს პაველ გრეკოვს პარტიის დავალებათა შესრულება და კონკრეტულ საწარმოო უბანზე მისი გენერალური ხაზის განხორციელებისათვის მრავალ სიძნელეთა დაძლევა. ამ ბრძოლას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ ზოგიერთ პარტიულ მუშაკს დაუკარგავს ბოლშევიკური სიფხიზლე და ბრმად ენდობა კლასობრივ მტერს, არ ცდილობს დაინახოს მათს მოქმედებაში ის დამარღვეველი მუშაობა, რომელსაც ისინი ხალხისა და პარტიის მტრების წაქეზებით აწარმოებენ. პაველ გრეკოვი განსახიერებაა ისეთი ბოლშევიკისა, რომელიც, მიუხედავად მის გარშემო შექმნილი რთული სიტუაციისა, სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და განაგრძობს ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც „ბრძოლაში ყველა საშუალებას მიმართავს", მათ შორის საზიზღარ ცილისწამებასა და პროვოკაციას. გრეკოვის პორტრეტი რეალისტურად არის დახატული და ნამდვილად გვისახავს თვალწინ პარტიის რიგითი წევრის მებრძოლ ფიგურას.

სიუჟეტის ბუნებრივი განვითარება, რთული დრამატიული ხლართების მისაბაძი უბრალოებით გადაჭრა აძლევს პიესას შინაგან სიმტკიცეს. ამიტომ დაიმკვიდრა მან მტკიცე ადგილი ჩვენი თეატრების რეპერტუარში. ამ დღეებში იგი დიდი წარმატებით დასდგა ქუთაისის თეატრმა და მას შემდეგ ყოველი სპექტაკლი ანშლაგით მიდის.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თბილისის სახელმწიფო თეატრში იგი დასდგეს მსახიობებმა **ი. ბოდროვმა** და **ბ. ბრაგინმა.** დადგმა რეალისტურად არის განხორციელებული. მაღალი სცენიური გამოცდილების კვალი ამჩნევია ყოველ მიზანსცენას და ცალკეული დეფექტები, რაც ვოიტეხოვისა და ლენჩის პიესას მაინც ახასიათებს რეჟისორების მიერ საგრძნობლადაა შენელებული. გაფორმების საერთო ტონი და ფერები, რომლებიც იშვიათი ოსტატობით აქვს შემუშავებული მხატვარს **ირ. შტენბერგს,** მაღალი ემოციურობით ავსებენ სპექტაკლს.

ზოგიერთი როლის შემსრულებელთა გამოკლებით, სპექტაკლი ანსამბლურად უნდა ჩაითვალოს. პაველ გრეკოვის როლს ასრულებს **ი. ბოდროვი.** ნიჭიერი მსახიობი მასში გვიჩვენებს თავისი შემოქმედების უდავო ზრდას. ის დაჯილდოებულია დიდი სცენიური ტემპერამენტით, აქვს მომხიბვლელი ტემბრის ხმა, კარგი გარეგნობა და თამაშის ბუნებრივი გულწრფელობა.

შედარებით სუსტად აქვს დამუშავებული ნარზულაევის როლი მსახიობ **ვ. ბრაგინს.** გადაჭარბებული აქცენტირება აშკარად უკარგავს ნაციონალურ ელფერს მის მიერ შექმნილ ტიპს. ორდენოსანი **ქ. მიუფკე** კოვალიოვის როლში იძლევა პარტიის რაიკომის მდივნის სიმპატიურ და ყოველმხრივ დასამახსოვრებელ სახეს. მისაბაძი მხატვრული ზომიერებით ანსახიერებს სოროკინს მსახიობი **ა. სმირანინი. ვ. ზახაროვა** მომხიბლავი გულწრფელობით თამაშობს მაშა კრილოვას როლს და განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს I მოქმედებაში. **ზ. ბელეცკაიას** მირ-ახმეტოვის როლში აკლია სცენიური სითბო. **კოვალსკაია** ოსტატურად თამაშობს ზვონკოვას როლს. კარგად აქვს დამუშავებული ლევიცკის როლი მსახ. **ე. ფედოროვს,** განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში. საქ. სსრ დამსახურებული არტისტი **დ. ოსიპოვი** ჰქმნის მოხუცი ოსტატის მირონოვის ნამდვილ სცენიურ სახეს.

ვ. ბეიერის მუსიკა შეთანხმებულია სპექტაკლთან.

ა. ბარათელი.

წერილები წითელი არმიის ნაწილებიდან

„კომუნისტის" რედაქციას თბილისი.

სარატოვის ოლქში მდგარ ერთერთ ნაწილში ჩამოვიდა ახალი შევსება— ჯანღონით სავსე, მხიარული და ენერგიული ახალგაზრდები, ჩვენი დიადი სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები.

ახლად ჩამოსულ შევსებიდან ბევრნი საპოლკო სკოლაში მივიღეთ კურსანტებად. კურსანტები აქტიურად ჩაებნენ წითელარმიელური თვითმოქმედი წრეების მუშაობაში და ჩამოაყალიბეს ქართული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი წრე. ეს წითელარმიელური წრე, რომელსაც კურსანტი გ. პაპიაშვილი ხელმძღვანელობს, დიდი პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს, არა მარტო წითელარმიელთა შორის, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაშიც.

საპოლკო სკოლის პოლიტხელი:

ი. მანდრიკო.

○

ჩვენი წრე, რომელშიაც უმთავრესად საქართველოდან სახელოვან წითელარმიაში წასულნი ვმონაწილეობთ, დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა. ჩვენს სიმღერას სიამოვნებით ისმენენ ჩვენი თანამებრძოლნი — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც მოსული არიან წითელი არმიის ახალ შევსებად.

ჩვენი სკოლისა და პოლკის სარდლობა დახმარებას არ აკლებს ჩვენს წრეს.

გ. პაპიაშვილი.

ქართული სიმღერებისა და ცეკვების წითელარმიელური თვითმოქმედი წრის წევრები კურსანტები (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში—ოგანოვი, ავთანდილოვი, პაპიაშვილი; მეორე რიგში—ბერიძე, გოზალოვი, ჯანიაშვილი, საპოლკო სკოლის პოლიტხელი ი. მანდრიკო, გ. პაპიაშვილი, ჯავახიშვილი; მესამე რიგში—იოსებაშვილი, კავთელაშვილი, ბეგიაშვილი, გელდიაშვილი, კენკეშაშვილი, მიკირტიჩიანი, მანუკოვი და ნუბაროვი.

სსრ კავშირის მინსახკომის თბილისის ვეტერინარული ტექნიკუმი

აწარმოებს დამატებით მიღებას პირველ კურსზე. რუსულ და ქართულ სექტორებზე ასაკით 15-დან 30 წლამდე. განცხადებების მიღება სწარმოებს 22 ნოემბრამდე

განცხადებაზე დართული უნდა იყოს:

1. არასრული საშ. სკოლის დამთავრების მოწმობა (უსათუოდ დედანი), 2. ცნობა სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებიდან ჯანმრთელობის შესახებ, 3. მეტრიკული ამონაწერი, 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი შემსვლელის საკუთარი ხელისმოწერით, შემოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, 5. საბუთი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ.

მისაღები პირი ჩააბარებს გამოცდებს შემდეგ საგნებში: მათემატიკაში, ფიზიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, სსრკ კონსტიტუციასა და გეოგრაფიაში.

ჩარიცხული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო ბინით საერთო წესით.

მისამართი: თბილისი, ზემო-ვაკე.

436 თბილისის ვეტტექნიკუმის დირექტორი **სვანიძე.**

მექანიზებული ანგარიშის საქართვ. ფაბრიკა

1940 წლის იანვრიდან კისრულობს საანგარიშო მანქანებზე საბალანსო, სახარისხო და ოპერატიული აღრიცხვის დამუშავების ორგანიზაციას.

მუშაობის ჩატარებისათვის განაცხადები მიიღება ა. წ. 25 ნოემბრამდე შემდეგი მისამართით: ძერჟინსკის ქ. № 22.

ცნობები გაიცემა ტელეფონით: 3-59-43 და 3-50-88. 150

სტამბა „კომუნისტის" მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას გამოსთქვამენ

გრიგოლ ზეჟანის-ძე პოპოვის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ა. წ. 19 ნოემბერს ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე. მისამართი ზარაბაშვის ქ. № 18.

ეკატერინე, ელენე, მათიკო, მაშურა, მიშა და დათიკო ქვარიანები იუწყებიან

იაგორ ალმასხანის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. 3912

სახუნტის თანამშრომლები ფავლენიშვილი, ხურცილავა, ცქიტიშვილი, ხუციშვილი, ქილაია, კალაძე, ჩხარტიშვილი, ჯაფარიძე, მიქელაძე, ბერძენიშვილი, ჩხეიძე, ჩარექიშვილი, კუზანოვა იუწყებიან ანიკო მესხის მამის

ივლიანე როინიშვილის

გარდაცვალებას. 3913

დამწუხრებული დედა ნინო, და ელენე შვილით ვახტანგით, ძმა ნიკოლოზ ცოლშვილით, ბებია ეკატერინე, ბიძები: ი. იაკ. და გ. გუგუტიშვილები ცოლშვილით, დეიდები დარო და მარო და ნიკო კეცლიშვილი იუწყებიან

ეკატერინე (კატუშა) მიხეილის-ასულ დილმელაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება სოფ. გიორგიწმინდაში 19 ნოემბერს.

დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე ილიას-ასული ორჯონიკიძე - ცქიტიშვილისა იუწყება ძვირფასი

ივანე სიმონის-ძე ცქიტიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 ს. ნიკოლაძის 1-ლი ჩიხი № 16.

სარა როინიშვილი, მარო, მიშა სოხაძეები, ვენერა, კაკო კაპანაძეები, ნადია, დათიკო როინიშვილები იუწყებიან პირველის მაზლისა და დანარჩენთა ბიძის

ივლიანე ნიკოლოზის-ძე როინიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება კავშირის, 12. 18/XI 3 ს. 3909

მეუღლე ლიზა, შვილები საშა, ანდრო, კოლია, მარუსია, რძალი ზოია, სიძე შალვა, შვილიშვილი სულიკო იუწყებიან საყვარელ

ვასილ ბასილაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/XI ქ. ფოთში. 3910

ანდრო წიკლაური ცოლით ნინოთი, შვილებით: ილიათი, გრიგოლით და ვახტანგით, პელო ხოსიტაშვილი ქმრით მიხეილით, შვილებით: ანნათი, ტატეთი და მართი იუწყებიან საყვარელი რძლის

ნინო დიმიტრის-ასულ წიკლაურის

გარდაცვალებას.

რომანის „დიდი მოურავის" ავტორი ა. ა. ანტონოვსკაია თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ისტორიული რომანის „დიდი მოურავის" ავტორი მწერალი ქალი ა. ა. ანტონოვსკაია.

როგორც ა. ა. ანტონოვსკაიამ საქდესის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომანი მოფიქრებულია ტრილოგიის სახით და იგი შეეხება 50 წლის პერიოდს.

პირველი წიგნი „დიდი მოურავი" გამოვიდა 1937 წელს „ზარია ვოსტოკას" გამოცემით. ახლა იგი გამოდის მოსკოვში ახალი გამოცემით. რომანის მეორე წიგნი ავტორმა უკვე დაამთავრა და მალე გამოიცემა. გამომცემლობა „ფედერაცია" რომანს გამოსცემს ქართულ ენაზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა კინომატოგრაფიის საქმეთა კომიტეტმა 1940 წლის გეგმაში შეიტანა ფილმის „გიორგი სააკაძის" გამოშვება. ამ ფილმის სცენარი შედგენილი იქნება ა. ა. ანტონოვსკაიასა და ბ. კ. ჩორნის მიერ.

○

17 ნოემბერს მწერალთა კლუბში შესდგა ა. ა. ანტონოვსკაიას ნაწარმოებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. ორდენოსანი მწერალი შ. ნ. დადიანის მიერ „დიდი მოურავის" შესახებ წარმოთქმული შესავალი სიტყვის შემდეგ, რომანის ავტორმა მოახსენა დამსწრეთ თავისი მუშაობის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ, რის შემდეგაც ბორის ჩორნიმ წაიკითხა ნაწყვეტები რომანის მე-2 წიგნიდან.

გამოფენა — „სტალინი და წითელი არმია"

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლი მართავს წითელარმიელთა გამოფენას თემაზე — „სტალინი და წითელი არმია". ამასთან დაკავშირებით თბილისის გარნიზონის ნაწილებში მხატვარ წითელარმიელთა შორის ფართოდ არის გაშლილი მუშაობა გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. № ნაწილში პოლიტხელ ამხ. მახნოს ხელმძღვანელობით მხატვარ წითელარმიელთა და მეთაურთა შორის ჩატარდა თათბირი. წითელარმიელები ამხ. კირილოვი და ლობანოვი მუშაობენ მხატვრულ ტილოებზე — „ამხანაგები სტალინი, ვოროშილოვი და კიროვი თეთრი-ზღვის არხზე", „ამხ. სტალინის სახლი გორში", „სტალინი და ვოროშილოვი ცარიცინის ფრონტზე".

მხატვარი უმცროსი მეთაური ამხ. ხაჩატუროვი ამზადებს ტილოებს — „ამხ. სტალინი ბაქოში წითელ პარტიზანთა შორის" და „ამხ. სტალინის გამოსვლა აპრილის კონფერენციაზე".

წითელარმიელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნება მიმდინარე წლის დეკემბერში.

რა აღმოჩნდა ხვამლში

ამ რამდენიმე დღის წინათ ხვამლიდან დაბრუნდა ალპინისტთა ექსპედიცია, რომელიც გაგზავნილი იყო საქ. სიძველეთა დაცვის კომიტეტისაგან ხვამლის გამოქვაბულებში შესასვლელად. ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ამხ. ა. ჯაფარიძემ, რომელიც პირველად შევიდა ხვამლის მთავარ გამოქვაბულში, იმ გამოქვაბულში, რომელიც ძველ ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია, როგორც საქართველოს სახელმწიფო განძსაცავი, განაცხადა:

— მიუხედავად საკმაოდ რთული ტექნიკური დაბრკოლებებისა, რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ ჩვენ შევძელით ხვამლის მთავარ გამოქვაბულში შესვლა. შევედით აგრეთვე ე. წ. ტვიშის და ვორხვის გამოქვაბულებში. ხვამლის გამოქვაბულში, რომელიც ჩვენ ვნახეთ, არაფერი ღირსშესანიშნავი არ გვიპოვნია, რადგან გამოქვაბულის სიღრმეში შესასვლელი ჩამონგრეულია და ამოვსებულია ღორღით. გამოქვაბულის „ოთახებიც", ანუ დარბაზებიც სავსეა საუკუნეობრივი მტვრით—ქვითა და ღორღით. შესაძლოა ამ ღორღით დაფარულია რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მაგრამ საამისოდ გათხრებია საჭირო. დარბაზების იმ კედლებზე, რომლებიც კლდის მხრიდანაა ამოშენებული შესამჩნევია ძველებური მხატვრობის ნაშთი. იქვე პირველ დარბაზშივე ვიპოვნეთ ძველებური ქართული აგური, შეგროვილი შტაბელად.

ვორხვის გამოქვაბულში, სადაც აგრეთვე, მომავალში გათხრების წარმოება იქნება საჭირო, გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ გამოქვაბულის გარე კედელი კლდის გასწვრივ აშენებულია დიდი თლილი ქვისაგან. თვითეული ქვა კუბური მეტრის მოცულობისაა და საკვირველია, როგორ მოახერხეს იმ დროში (დაახლოებით 6—7 საუკუნის წინათ) 150 მეტრის სიმაღლეზე კლდეზე ამოდენა ქვების ატანა, მით უმეტეს, რომ ეს ქვა კლდიდან მოტეხილი არ უნდა იყოს.

ლექციები და მოხსენებები

პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში (პლეხ. პროსპ. № 178) 19 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შესდგება დოც. დ. ცხაკაიას ლექცია მათემატიკის ისტორიიდან — „ამოწურვისა და განუყოფელთა მეთოდი". შესვლა თავისუფალია.

აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) შესდგება ქართველურ ენათა განყოფილების სხდომა. მოხსენებას—„ხმოვანთა შედგენილობა სვანურში" გააკეთებს პროფ. ვ. თოფურია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სასამართლო

შრომის დეზერტირობისათვის

ვოროშილოვის სახელობის კლუბში ორ დღეს გრძელდებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის 1939 წლის კურსდამთავრებულ იმ ექიმთა საჯარო-საჩვენებელი გასამართლება, რომლებმაც თავი აარიდეს რაიონებში სამუშაოდ წასვლას.

პროცესზე გამოირკვა, რომ პასუხისგებაში მიცემულნი — ქეთევან პორფირეს-ასული წირქვაძე, ლუბა თეოფილეს-ასული შეწირული, ნინო ისიდორეს-ასული ჩხიკვაძე, ზინაიდა ალექსანდრეს-ასული ქოიავა და სხვ. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის მთელ პერიოდში სახელმწიფოსაგან იღებდნენ სტიპენდიას და სარგებლობდნენ საბჭოთა სტუდენტობისათვის დაწესებული ყველა შეღავათით. 1939 წელს, როდესაც მათ დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და საჭირო იყო მათი წასვლა სოფლის სამკურნალო ქსელში სამუშაოდ, მათ გადაჭრით განაცხადეს უარი თავისი მოქალაქეობრივი ვალის შესრულებაზე.

მათი საქმე გაარჩია ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. გ. პაქსაშვილის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო ბრალმდებელის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონის პროკურორის ამხ. დ. ჯიბლაძის და საზოგადოებრივი ბრალმდებლის, საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. ი. ფაღავას მონაწილეობით.

სასამართლოს დადგენილებით ქეთევან პორფირეს-ასულ წირქვაძეს მიესაჯა იძულებითი მუშაობა ოთხი თვით და წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ გაემგზავროს სამუშაოდ. ლუბა თეოფილეს-ასულ შეწირულს და ზინაიდა ალექსანდრეს-ასულ ქოიავას მიესაჯათ იძულებითი მუშაობა ექვს-ექვსი თვით და წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ გაემგზავრონ კომისიის მიერ მიჩენილ ადგილებში სამუშაოდ.

საქმეები დანარჩენი ექიმებისა, რომლებიც თავს არიდებენ რაიონებში სამუშაოდ წასვლას, კვლევაძიების დამთავრებისთანავე განხილული იქნება საჯარო საჩვენებელი პროცესით.

მ. სურგულაძე

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ექიმი კალიუჟნი"; **ოქტომბერი** — „ექიმი კალიუჟნი"; **დამკვრელი**—„უმაღლესი ჯილდო"; **კომკავშირელი** — „ფედკა"; **სპარტაკი** — „სამშობლოს სიამაყე"; **რ. ლუქსემბურგის სახ.** — „ღამე სექტემბერში"; **26 კომის. რის სახ.** — „ღამე სექტემბერში"; **კომინტერნი** — „ოქროს ტაიგა".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **პ. რატიანი**

ძმა პეტრე, რძალი ნუცა ურუშაძეები შვილებით იუწყებიან საყვარელ

იაგორ ალმასხანის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18/XI 7 ს. ლენინის ქ. № 54. დაკრძალვა 19/XI 4½ ს. ვაკის სასაფლაოზე. 3894

უახლოესი მეგობრები ნინო და გრიშა დვალები იუწყებიან ნუცა და პეტრე ურუშაძეების მაზლის და ძმის

იაგორ ალმასხანის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. 3907

მეუღლე ნინო, შვილები პარისა, კალილა, ელიკუცა ქმარშვილით, ვიქტორ მეუღლით და ეფრემ ხარბანიძეები იუწყებიან დაუვიწყარ

ვლადიმერ ეფრემის-ძე ხარბანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ჭიათურაში 19/XI. 3898

ბიძაშვილები გაბო, მიტუშა, ჰუჰულა, კაკო გოწაძეები და უახლოესი მეგობრები ვასიკო, ვლადიმერ კვიციკაძეები იუწყებიან დაუვიწყარ

დავით (დათიკო) ტარიელის-ძე გოწაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 19/XI. 3896

რძალი ქრისტინე ახობაძე შვილით ბაბილინათი, შვილიშვილით ნინო ტალიკაძით იუწყება ძვირფას

ელისაბედ ვასილის-ასულ შალდავაძე-ახობაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/XI კულაშში. 3902

მამა შალვა, დედა ზინა, ბიძები სერგო ცოლშვილით, ალიოშა, მამიდა ქრისტინა, ვალიკო კაციტაძე იუწყებიან

პატარა ლერიკო შალვას-ძე გვენეტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/XI 5 ს. 3903

მეუღლე ვერიკა შვილებით, დედა ეფემია, სიდედრი მარინე, ცოლისძმა გრამიტონ ხვედელიანი ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ

გრიშა ბაკურაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19/XI 4 ს. დავითაშვილის, 24. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3904

ცოლისდები მინადორა, ნინო, ლოლა, ქვისლები ლონგინოზ მებურიშვილი, ილარიონ ელენტი, ლეონიდე ტრაპაიძე შვილებით იუწყებიან საყვარელ

იაგორ ალმასხანის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/XI. 3908

ბიძა ზოსიმე მეუღლით ვერათი, ბიძაშვილები აიგენგო, ვენერა, ლაზარე, სიმონ, ლეილა, ზოსია აბზიანიძეები იუწყებიან

ალი არსენიშვილის

გარდაცვალებას. 3911

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები იუწყებიან კადრების განყოფილების მეთოდისტის

დიმიტრი დიმიტრის-ძე მახუტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/XI 1 ს. გამოსვენება გრიბოედოვის ქ. № 31, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3889

თამარ შვილით ვილიათი იუწყება, რომ 18/XI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი დის

ანეტა სოფრომის-ასულ მამალაძე-თედორაძის

სამოქ. პანაშვიდი. 3893

ცეკავშირის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების თანამშრომლები ჭყონია, სოლოვიოვი, ასოიანი, ქომურჯიშვილი, ორაგველიძე, გორდელაძე, კლოცი, ჯიბუტი, ვოშჩინსკი, ქენქარაძე, პოლუზოვი, მირზოიანი იუწყებიან ილია მეგრელიძის მამის

იოსებ მეგრელიძის

გარდაცვალებას. 3900

„პრომსნაბლესის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გამგეობის თავ-რის მოადგილეს ბიძინა ჯინჭველაშვილს მისი დედის

ქეთევან ლუკას-ასულ ჯინჭველაშვილის

გარდაცვალების გამო. 3897

შუბითიძე, ოქროპირიძე, მურველაშვილი, გოგიტიძე, გიორგაძე, გორგოშიძე, ერქომაიშვილი, კვინტრაძე, სურგულაძე, ბოლქვაძე, ზურაბოვი, ელენტი, ბერიაშვილი, ჯოჯუა, დონაძე, სამხარაძე, ტატაშვილი იუწყებიან ნინო სვანიძის დედის

დესპინეს

გარდაცვალებას. 3899

სახუნტის თანამშრომლები შახოვა, ლაფერაშვილი, ქიქოძე, ფაშალიშვილი, გოცირიძე, კინწურაშვილი, აროშიძე, ლომინაშვილი, ბახტაძე, გვარჯალაძე, პაპავა, ტყემალაძე, ჰუბაბრია იუწყებიან ანიკო მესხის მამის

ივლიანე როინიშვილის

გარდაცვალებას. 3905

თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომი იუწყება ადგილკომის წევრის, ეკონომიური ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კასიანე იოსების-ძე მეგრელიძის მამის

იოსებ სიმონის-ძე მეგრელიძის

გარდაცვალებას. 3906

სახუნტის ფიზიკური ქიმიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კათედრის გამგეს შალვა შარაშენიძეს და ქეთო ედიგაროვას პირველის ცოლისძმის და მეორის ძმის

დათიკოს

გარდაცვალების გამო. 3895

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1796